# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ვერსია იხილეთ SAKRESP.GE

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№99-100 (10102-10103) 2026 წლის 30 ივლისი, ხუთშაბათი


# ღირსება სულის სამოსელია, შადიმანო

## ოქრიაშვილებო და შამანიდებო!



იხ. 5 გვ.

....,ნოდარ დუმბაძე არის უნიჭო მწერალი. თან კომუნისტი. მისი მთელი შთამომავლობა ნაძირლებია"...



## რეგიონული პოლიტიკის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობას, მამუკა მდინარაძე დაიკავებს

**საქართველოს მთავრობის სტრუქტურაში შეიქმნება რეგიონული პოლიტიკის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა.**

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, **ირაკლი კობახიძემ** მთავრობის ადმინისტრაციაში გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

აღნიშნულ თანამდებობას **მამუკა მდინარაძე** დაიკავებს. პრემიერის განმარტებით, **მამუკა მდინარაძე** კვლავაც შეითავსებს ვიცე-პრემიერის თანამდებობას. ამასთან, **ირაკლი კობახიძის** განცხადებით, გაუქმდება რეგიონული განვითარების სამინისტრო და მინისტრი **ჰახაბერ გულედანი** დაიკავებს ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობას.

# სიტყვითმკვლელო გვარამია, სად გეტევა ამდენი ბოლმა?



5







იხ. 14 გვ.

# მოუფრთხილდით ღრანჭებს!

ვეკითხებით ამ უბედურებს: რატომ გგონიათ, რომ უზრდელობის ასალაგმავად მხოლოდ სპორტსმენები იზრუნებენ?



8 9

# ექიმი, სამართალ-მცოდნე, მეცნიერი ბესარიონ კილასონია 80 წლისაა

# აპოკალიფსი?! — შეშინდით!



2

ხელოვნური ინტელექტი გვიტევს!



11

# ტრამპის ომი და ამერიკელთა ეროვნული სულის რღვევა



# ვინ არის დიდი ბრიტანეთის ახალი პრემიერი ენდი ბერნემი?

10

ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

# ჩვენ და... ისინი



# მინისტრი ავად გამხდარაო!..

**თინათინ რუხაძემ კულტურის მინისტრის თანამდებობა დატოვა.**

□ფეისბუქზე□გავრცელებულ განცხადებაში, ის გადაწყვეტილების მიზეზად ჯანმრთელობის მდგომარეობას ასახელებს და წუხს, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს საშუალებას, სათანადო ყურადღება დაუთმოს საქმეს, რომელიც ძალიან უყვარს და მისთვის ძვირფასია. რუხაძე მადლობას უხდის პრემიერ-მინისტრს გამოცხადებული ნდობისთვის, ასევე, მთავრობის ყველა წევრს, სამინისტროს თანამშრომელს და აღნიშნავს, რომ რჩება გუნდის გულშემატკივრად.

**თიკა რუხაძე კულტურის მინისტრად 2024 წლის 18 ოქტომბერს დაინიშნა. ის მალევე მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში, ძვირადღირებული ჩანთების წყალობით. მინისტრად დანიშვნამდე ერთი დღით ადრე, 17 ოქტომბერს, მან 8100 ევროდ შეფასებული ჩანთა იყიდა. მანამდე, კიდევ ერთი, ძვირადღირებული ჩანთაც შეიძინა, რომლის ფასი 5995 ევროა. აქედან** სახელმწიფო პროგრამებით მოსარგებლე და თან ამით მოამაყე, რომელსაც კულტურასთან არაფერი საერთო არ ჰქონდა. ამის შემდეგ კი, მინისტრმა საზოგადოებისგან კრიტიკა, მისივე ამოუხსნელი ფრაზების წყალობით დაიმსახურა, როდესაც ცდილობდა, საუბარში უცხო ენა გამოეყენებინა, მაგრამ უცხო სიტყვათა ლიქსიკის მარაგი ამის საშუალებას არ აძლევდა, შესაბამისად, საერთო ჯამში, გაუგებარი რჩებოდა მისი განცხადების შინაარსი.

**რუხაძემ ამ თანამდებობაზე თეა წულუკიანი შეცვალა, მაგრამ ვინ შეცვლის თავად რუხაძეს, ამ დრომდე უცნობია. არაოფიციალური ინფორმაციით, რუხაძე არ იქნება ერთადერთი მინისტრი, რომელიც ირაკლი კობახიძის გუნდს დაემშვიდობება... ასე რომ, შემოდგომაზე აღმასრულებელ ხელისუფლებაში დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი. კულტურის მინისტრად რამდენიმე კანდიდატურა განიხილება, რომელთაგან □საუკეთესოს შევარჩევთ□ამბობენ მმართველ გუნდში. ვნახოთ, ვინ იქნება ეს □საუკეთესო□ გამომდინარე, მის შემოსავლებთან და ქონებრივ დეკლარაციასთან დაკავშირებით გაჩნდა კითხვები, რასაც რუხაძემ უპასუხა, რომ ძალიან ტვინიანი ქალია და საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მაღალ ანაზღაურებას იმსახურებს.**

მაშინ საზოგადოება სვამდა ლეგიტიმურ კითხვას – რა საჭირო იყო კულტურის მინისტრად მილიონერი,



# ბაკურიანში აფხაზეთის ღია პირველობა ძიუდოში — „ბაკურიანი 2026“ გაიმართა

**ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის თანადგომით, აფხაზეთის ძიუდოს აკადემიის ორგანიზებითა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ხელშეწყობით, დაბა ბაკურიანში ჩატარდა აფხაზეთის ღია პირველობა ჭიდაობა ძიუდოში „ბაკურიანი 2026“.**

ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღეს 2014-2015 და 2016-2017 წლებში დაბადებულმა ვაჟებმა და გოგონებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. აღსანიშნავია, რომ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილე 100-მდე სპორტსმენი, დაბა ბაკურიანში, 10-დღიანი შეკრების ფარგლებში ვარჯიშობდა და ჩემპიონატისთვის საგანგებოდ ემზადებოდა.

ჩემპიონატის დაწყებამდე, მოზარდ სპორტსმენებს, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორმა, გენერალ-მაიორმა **კობა კობალაძემ** და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა **გიორგი ძაძამიამ** მისასალმებელი სიტყვით მიმართეს, წარმატებები უსურვეს და იმედი გამოთქვეს, რომ მომავალში, ისინი, თავიანთ ქვეყანას, საერთაშორისო სარბიელზე, არა ერთხელ ასახელებენ.

ასპარეზობა 11 წონით კატეგორიაში გაიმართა. ტურნირის გამარჯვებულებსა და პრიზიორებს, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ დაწესებული მედლები, სიგელები და სიმბოლური საჩუქრები ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის მოადგილემ **ჯანდრი უბირიამ,** აფხაზეთის ქართული ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მონიტორინგისა და აუდიტის სამსახურის უფროსმა, აფხაზეთის, სამაჩაბლოსა და 2008 წლის ომების ვეტერანმა, სპორტის ოსტატმა ჭიდაობა ძიუდოში, ეროვნული კატეგორიის მსაჯმა **გიორგი ედილაშვილმა,** სამსახურის რეგიონული მართვის დეპარტამენტის უფროსმა **ლევან ამირიძემ, გიორგი ძაძამიამ** და იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრის მოადგილემ **იგორ კოპალიანმა** გადასცეს.

როგორც აფხაზეთის ძიუდოს აკადემიის პრეზიდენტმა **კობა გეგიამ** განაცხადა, აფხაზეთის ღია პირველობა მოზარდთა შორის ჭიდაობა ძიუდოში, დაარსდა 2023 წელს და ყოველწლიურად ტარდება.

# შს მინისტრმა გუდაურის ტრაგედიის დროს დაღუპულების ხსოვნას პატივი მიაგო



**შინაგან საქმეთა მინისტრი სულხან თამაზაშვილი, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრთან მიხეილ სარჯველაძესთან ერთად, 2022 წელს გუდაურთან მომხდარი ტრაგედიის ადგილზე იმყოფებოდა.**

მინისტრებმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულების ხსოვნას პატივი მიაგეს და მემორიალი გვირგვინით შეამკეს.

**ტრაგიკული შემთხვევა 2022 წლის 29 ივლისს გუდაურთან მოხდა, რა დროსაც ბორტზე მყოფი 8 ადამიანი – შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის მფრინავები, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მაშველები და ექიმები დაიღუპნენ.**

# ნაურუმ აფხაზეთთან და ოსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები გააუქმა

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მიესალმება ნაურუს აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილებას □ნაურუს რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას, ასევე ცნობილს როგორც სახელმწიფო ალანიას შორის□და □ნაურუს რესპუბლიკასა და აფხაზეთის რესპუბლიკას შორის□ დიპლომატიური ურთიერთობების გაუქმების შესახებ.**

**□აღნიშნული გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმების პატივისცემა და დაცვა წარმოადგენს ჯანსაღი საერთაშორისო ურთიერთობების საფუძველს.**

**საქართველო გამოთქვამს მზადყოფნას, დაამყაროს ნაურუს რესპუბლიკასთან დიპლომატიური ურთიერთობები და ხელი შეუწყოს საერთო ინტერესების საფუძველზე ორმხრივი თანამშრომლობის გააქტიურებას□ –** ნათქვამია განცხადებაში.

## ხელოვნური ინტელექტი გვიტევს!

# აპოკალიფსი?! —გეშინოდეთ!




**ბრიტანული სამაუწყებლო კომპანია □ბიბისი□(BBC) თავის ვებ-გვერდზე აქვეყნებს სარედაქციო სტატიას სათაურით □AI-აპოკალიფსის ალბათობა დღეს 10%-ია, მაგრამ ახლო მომავალში კაცობრიობის აღსასრულის რისკი გაორმაგდება□** რომელშც განხილულია ხელოვნური ინტელექტის უკონტროლო განვითარებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი საფრთხეები.

**გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით:** BBC

**ხელოვნური ინტელექტის (AI - Artificial Intelligence) განვითარებით ძლიერდება ადამიანთა შეშფოთება მომავლის წინაშე–გამოკითხვების თანახმად, მისი უკვე კაცობრიობის ნახევარზე მეტს ეშინია. მას შემდეგ, რაც გავრცელდა ინფორმაცია, თუ როგორ □გაექცა□ხელოვნური ინტელექტი კონტროლიდან ჯერ კომპანია Anthropic-ს, შემდეგ კი OpenAI-ს, მისგან დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა წინა პლანზე გამოვიდა. ექსპერტები თანხმდებიან, რომ სწორედ არაკონტროლირებული ხელოვნური ინტელექტის დამანგრეველ უნარში გამოიხატება მისი მთავარი მუქარა - AI-აპოკალიფსის (კაცობრიობის აღსასრულის) დადგომა.**

**დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, როცა ხელოვნური ინტელექტის განვითარების დონე მაინცდამაინც დიდი არ არის, აპოკალიფსის ალბათობა უკვე 10%-ს აღწევს, რაც საკმაოდ მაღალი შესაძლებლობაა. და თუ ის არ შეიზღუდება და არ დარეგულირდება, კაცობრიობის აღსასრულის ალბათობა 20%-ს გადასცილდება – ასეთი აზრი აქვთ ხელოვნური ინტელექტის მკვლევარ 272 ექსპერტს, რომელთა გამოკითხვა მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის (MTI) - მსოფლიოს წამყვანი ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლის ლაბორატორიამ ჩაატარა.**

მეცნიერებმა შეადგინეს 24-რისკიანი რეიტინგი და თითოეულისათვის განსაზღვრეს □მოვლენათა კატასტროფული განვითარების□ ალბათობა 2030 წლამდე. კატასტროფულ ზიანში იგულისხმება, მაგალითად, ერთი მილიონი ადამიანის დაღუპვა, ეკონომიკური ზიანის მიყენება 100 მილიარდი დოლარის ოდენობით ან არამატერიალური შედეგები ცივილიზაციური მასშტაბით – ისეთი, როგორიცაა დემოკრატიული ნორმების კრახი, ვთქვათ, კერძო, პირადი ცხოვრების უფლების წართმევა.

## ტერმინატორების“ აჩრდილი მსოფლიოში?

**ხელოვნური ინტელექტის მიმართ გაჩენილ შიშებში გასულ წელს ყველაზე მეტად განიხილებოდა შიში მასობრივი უმუშევრობის მიმართ, მაგრამ მიმდინარე წელს ასეთი შიში □შემაშფოთებელ სამეულშიც□ვერ მოხვდა, მან მეოთხე ადგილი დაიკავა. პირველი სამი ადგილი მიკუთვნებული აქვს □ტერმინატორის□მსგავს სცენარებს – ადამიანების, როგორც □ჰომო საპიენსის□არსებობის საფრთხეს და ხელოვნური ინტელექტის მქონე რობოტანდროიდების გაბატონებას.**

ექსპერტთა აზრით, ყველაზე სახიფათოა პირველი – ადამიანის კონტროლიდან გამოსული ხელოვნური ინტელექტის დამანგრეველი უნარი, როცა ის დამოუკიდებლად, ჩუმად სწავლობს კაცობრიობისადმი მასშტაბური ზიანის მიყენების მეთოდებს. ეს შეიძლება მოხდეს სხვადასხვა მიზეზებით, ვთქვათ, ტექნიკური გაუმართაობით, ბოროტგანმზრახველთა მოქმედებით ან როცა □ხელოვნური ინტელექტის მიზანი ადამიანის ინტერესებს არ დაემთხვევა□.

რით შეიძლება გამოიხატოს □რობოტიზებული არსებების□მავნებლობა? ადა-

მძიმე ჟამი

# ევროკავშირი სუვერენიტეტის დაკარგვის ფასად?!



## მმართველი გუნდის მკაცრი გზავნილი ბრიუსელს

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილის შეფასებით, გერმანიის ინიციატივა – გადაწყვეტილებების მიღებისას ვეტოს უფლების გაუქმებისა და კვალიფიციური უმრავლესობის წესზე გადასვლის შესახებ, რომელსაც უკვე 12 წევრი ქვეყანა შეუერთდა, ფუნდამენტურად ცვლის ევროკავშირის არსს.**

**კონსენსუსის პრინციპის გაუქმების შემთხვევაში, მცირე სახელმწიფოები კარგავენ ბერკეტს – ვეღარ შეძლებენ საკუთარი სასიცოცხლო და ეროვნული ინტერესების დაცვას, როდესაც ეს ინტერესები უმრავლესობის გეგმებს არ ემთხვევა. გარდა ამისა, იწვევს ძალთა ბალანსის რღვევას – თანასწორ წევრთა გაერთიანება შესაძლოა, გადაიქცეს დიდი სახელმწიფოების მიერ მართულ კავშირად; სუვერენიტეტის დაკარგვა – საუბარი აღარ იქნება სუვერენიტეტის ნაწილის ნებაყოფლობით გაზიარებაზე, არამედ რეალური სუვერენიტეტის თითქმის სრულ დაკარგვაზე.**



**„მთავარი კითხვა მხოლოდ ის კი არ არის, როდის მიგვიღებენ ევროკავშირში. მთავარი კითხვაა, რომელ ევროკავშირში გვთავაზობენ გაწევრიანებას, რა უფლებებით და რამდენად თანასწორი წევრის სტატუსით“** – რიტორიკულ კითხვას სვამს **პაპუაშვილი.**

მისივე თქმით, ასეთ პირობებში, მცირე სახელმწიფოებისთვის ევროკავშირის გარეთ დარჩენა შესაძლოა, უფრო სასარგებლოც აღმოჩნდეს, რადგან მათ, სულ მცირე, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების თავისუფლება შეუნარჩუნდებათ.



თემის აქტუალობიდან გამომდინარე, საკითხს გამოეხმაურნენ მმართველი გუნდის სხვა წარმომადგენლებიც, რომლებიც ხაზს უსვამენ ეროვნული ინტერესებისა და სუვერენიტეტის დაცვის აუცილებლობას:



**„თუ იმ ევროკავშირში შევალთ, რა ფორმითაც დღეს გვთავაზობენ, სუვერენიტეტის დაცვა ნამდვილად აღარ დაგვჭირდება იმიტომ, რომ აღარ გვექნება... ახლა უკვე პირდაპირ ამბობენ, რომ არ გჭირდებათ სუვერენიტეტი, ჩვენ ჩაგვაბარეთ და თქვენს ნაცვლად ჩვენ მივიღებთ გადაწყვეტილებებსო“** – განაცხადა **გურამ მაჭარაშვილმა.**

პარლამენტის პირველ ვიცე-სპიკერს, **გიორგი ვოლსკის** ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს, ევროკავშირს გაფართოების სურვილი აღარ აქვს: **„თითქოს, ჩაკეტეს ის კარი, რომელშიც მივისწრაფვით, რომ შევიდეთ“**

ვოლსკიმ უარყო ოპოზიციის კრიტიკა იმის შესახებ, რომ ხელისუფლებას ევროინტეგრაცია არ სურს, თუმცა აღნიშნა, რომ მიუღებელია ისეთი მოთხოვნები, რომლებიც ქვეყნის თვითმყოფადობასა და ტრადიციულ ღირებულებებს ეწინააღმდეგება.

სანამ მმართველი გუნდი ყურადღებას სუვერენიტეტის დაცვასა და თანასწორუფლებიანობაზე ამახვილებს, ოპოზიციური სპექტრი ამ განცხადებებს კრიტიკულად აფასებს. ოპოზიციის წარმომადგენელთა მტკიცებით, ევროკავშირის რეფორმებზე მსჯელობა შიდაევროპული პროცესია, ხოლო ხელისუფლების მხრიდან ამ თემის წინ წამოწევა ევროინტეგრაციის პროცესის შეფერხების გამართლებას ემსახურება.

მიუხედავად ოპოზიციის კრიტიკისა, უმრავლესობაში აცხადებენ, რომ საქართველოს მიზანი კვლავ ევროინტეგრაციაა, თუმცა ეს უნდა მოხდეს ღირსეულად, ეროვნული ინტერესების, სუვერენიტეტისა და თანასწორობის პრინციპების სრული დაცვით.



ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** მიიჩნევს, რომ პარლამენტის თავმჯდომარის პოზიცია სრულიად ადეკვატური და დროულია. მისი თქმით, ევროპული ბიუროკრატიის დღევანდელი პოლიტიკა ცენტრალიზაციისა და მცირე ქვეყნებზე დიქტატის დამყარებისკენაა მიმართული.

**„ევროკავშირის დიდი სახელმწიფოები აცხადებენ, რომ ყველა დანარჩენი მათ დიქტატს უნდა დაემორჩილოს. აბსოლუტურად სწორ განცხადებას აკეთებს ბატონი შალვა პაპუაშვილი, ევროკავშირი უკვე საბჭოთა კავშირსაა დამსგავსებული, ოღონდ საბჭოთა კავშირი უფრო მეტად დემოკრატიული იყო. თავად კავშირში გაერთიანება უკვე ნიშნავს სუვერენიტეტის გარკვეულწილად შეზღუდვას. რასაც ესენი გველაპარაკებიან, ეს ნიშნავს, რომ კოლონიალური სტატუსით ვიყოთ ამ შემადგენლობაში, რაც ძალიან არასწორად მიმაჩნია. განცხადება უნდა გაკეთდეს იმის შესახებ, რომ ერთხელ და სამუდამოდ ჯაჭვი გაწყდეს იქ, სადაც რგოლი სუსტია“** – აცხადებს **ედიშერ გვენეტაძე.**

ანალიტიკოსის შეფასებით, როდესაც ევროკავშირი კარგავს თავის საწყის ღირებულებებს და თანასწორობის ნაცვლად, წევრებს უთანასწორო თამაშის წესებს თავს ახვევს, საქართველოს მხრიდან საკუთარი პოზიციების გადახედვა ლოგიკური ნაბიჯია.

კითხვაზე, ხომ არ წავა „ქართული ოცნება“ საბოლოოდ იმ ნაბიჯზე, რომ საქართველოს გაწევრიანების შესახებ განაცხადი უკან გამოიხმოს, გვენეტაძე აღნიშნავს, რომ ეს სრულიად შესაძლებელი და გამართლებული პროცესია.

**ლიკა ბერიკაშვილი**

---

მიანის მოტყუებაში, ადამიანებით მანიპულირებაში, პოლიტიკაში ჩარევით, კიბერთავდასხმების განხორციელებაში, თავისზე უკეთესი და გაუმჯობესებული ხელოვნური ინტელექტის სისტემების შექმნაში („როცა შვილი მამაზე უკეთესი იქნება“) და საკუთარი არსებობისა და გამრავლებისათვის აუცილებელი გარემოს შექმნაში.

## ვინ გადაარჩენს კაცობრიობას?

**მეორე რისკი აპოკალიპტურ რეიტინგში დაკავშირებულია პირველთან: სასიკვდილო იარაღის შექმნა ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით (როგორც კიბერომებისთვის, ასევე ადამიანთა მასობრივი განადგურებისთვის). ფრიად სახიფათო რისკია მესამე - „ხელისუფლების AI-ვერტიკალის“ წარმოქმნა, ანუ რესურსების კონცენტრაცია იმ ვიწრო წრის პირთა ხელში, რომლებიც ხელოვნური ინტელექტის დახმარებით გამოიწვევენ და გააფართოვებენ სოციალურ-ეკონომიკურ უთანასწორობას.**

ამ ყველაფერს, დიდი ალბათობით, მოჰყვება მასშტაბური სოციალური რყევები და პოლიტიკური კრიზისები. როგორც მსოფლიოში ჩატარებული გამოკითხვები მოწმობს, ადამიანთა შიში ასეთი შედეგების წინაშე წლიდან წლობით იზრდება. მაგალითად, Stanford AI Index-ის (სტენფორდის ინსტიტუტის პროექტი, რომელიც ხელოვნური ინტელექტის მონაცემებს აანალიზებს) 2026 წლის მიმოხილვის თანახმად, იმ რესპონდენტების რაოდენობა, რომლებიც ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობებს შიშით უყურებენ, 2025 წლისათვის 52%მდე გაიზარდა – ეს ციფრი 2022 წელს მხოლოდ 39%-ს შეადგენდა.

მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც MTI-ის ექსპერტები აღნიშნავენ, ადამიანთა მზარდი შეშფოთება ხელოვნური ინტელექტის შეზღუდვაზე რაიმე გავლენას მაინც არ ახდენს. ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ ამ საკითხზე პასუხისმგებლები არიან ისინი, რომლებიც ხელოვნური ინტელექტის განვითარებით მდიდრდებიან, ხოლო ისინი, ვინც შეშფოთებულები არიან ხელოვნური ინტელექტის საფრთხის მომტანი განვითარებით, ხელისუფლებას არ ფლობენ და სიტუაციას ვერ აკონტროლებენ.

**„მსგავსი ვითარება, როცა ადამიანების დიდი ჯგუფი თავს მოწყვლადად გრძნობს, ხოლო მეორე მცირე ჯგუფი კი პასუხისმგებლობას გაურბის, ახალი არ არის. მაგალითად, ავია და ტექნოგენური კატასტროფებით ან უხარისხო მედიკამენტებით უპირველესად ყველაზე მეტად მოსახლეობა ზარალდება, ხოლო პასუხისმგებლობა იშვიათად თუ ეკისრება მწარმოებლებს და რეგულატორებს“** – აღნიშნავენ ექსპერტები.

**„ზოგადად ყველა დარგში არსებობს მკაცრი სტანდარტები, კონტროლის მექანიზმები და იურიდიული პასუხისმგებლობის ფორმები. მაგრამ ხელოვნური ინტელექტის მიმართ ანალოგიური მექანიზმები ან მხოლოდ ფორმირების პროცესშია ან საერთოდ არ არსებობს. ამის შედეგად ყველაზე მოწყვლადი ადამიანთა ჯგუფები პრაქტიკულად დაუცველნი რჩებიან, ხოლო ისინი, ვინ პასუხისმგებლები არიან მათ დაცვაზე, რისკების შეზღუდვისათვის სტიმულები არა აქვთ“** – ასეთ დასკვნას აკეთებენ ექსპერტები.

* * *

**რა თქმა უნდა, ხელოვნური ინტელექტი ყველა დარგს ერთნაირად არ ემუქრება. იმავე ექსპერტებმა შეაფასეს ეკონომიკის 14 დარგის მოწყვლადობის დონე. როგორც მოსალოდნელი იყო, მოწყვლადობის მხრივ, ყველაზე უარესად მოჩანს საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორი და ეროვნული უსაფრთხოების სფერო.**

საინფორმაციო სექტორი უკიდურესად მგრძნობიარეა დეზინფორმაციისა და სიცრუის გავრცელების საკითხში, საზოგადოებრივი აზრის მანიპულირების მიმართ და პირად ცხოვრებაში შეჭრით. ამ ყველაფრის გაკეთების შესაძლებლობა ხელოვნურ ინტელექტს სამომავლოდ თავისუფლად ექნება. ეროვნული უსაფრთხოება მოწყვლადია კიბერშეტევებისა და შეაიარაღების ახალი სახეობების მიმართ. მსგავსი საფრთხე ელოდება საფინანსო სექტორს, სადაც, ერთი მხრივ, ხელოვნური ინტელექტი თითქოსდა ებრძვის თაღლითობას და ბაზრით მანიპულირებას, მაგრამ, მეორე მხრივ, სულ უფრო მეტად ინერგება ყველა დონეზე და ამით, გაუმართაობის შემთხვევაში, მძიმე შედეგების რისკს ზრდის.

**ანალიზის თანახმად, ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული რისკებით ყველაზე უფრო დაცულნი აღმოჩნდნენ ის დარგები, რომლებშიც ინტელექტი ნაკლებად გამოიყენება – სასტუმროები და რესტორნები, სოფლის მეურნეობა, გადამამუშავებელი მრეწველობა და კულტურა-დასვენება-გართობის სფერო.**

მოამზადა
**სიმონ კილაძემ**

---

## SOS! მიუსტებო, გაიხარეთ!

**მიხეილ სააკაშვილი:**

### უკვე მზადდება ჩემი ხელოვნური ინტელექტის ავატარი, ლაპარაკობს, როგორც მიშა, მიხვრა-მოხვრა აქვს, როგორც მიშას, ჩემი ნააზრევი დაიდება მასზე



**მთლიანად თუ ჩამკეტავთ და ხალხს არ დამანახებთ, არა უშავს, უკვე მზადდება ჩემი ხელოვნური ინტელექტის ავატარი, რომელიც ჩემზე კარგად გამოიყურება, მაგრამ მე ვარ. ლაპარაკობს, როგორც მიშა საუკეთესო დროს, მიხვრა-მოხვრა აქვს, როგორც მიშას და მთლიანად ჩემი ნააზრევი დაიდება მასზე,** „ამის შესახებ საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** გუშინდელ სასამართლო პროცესზე განაცხადა.

**მისივე თქმით, ახალი მმართველობა ქვეყანაში მოიტანს სამართლიანობას.**

# პაატა ბურჭულაძე საპროცესო შეთანხმებას ითხოვს?!



# პროვოკაციიდან აღიარებამდე

**4 ოქტომბრის მოვლენების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს შორის აზრთა სერიოზული დაპირისპირება და სრული ქაოსია. მას შემდეგ, რაც ბრალდებულთა დიდმა ნაწილმა საკუთარი დანაშაული აღიარა, პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმება გააფორმა და საპატიმრო დატოვა, რადიკალური ფრთის ილუზიები საბოლოოდ დაიმსხვრა. ამ ფონზე, პროტესტის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი, ოპერის ცნობილი მომღერალი პაატა ბურჭულაძე ციხიდან სპეციალურ მიმართვას ავრცელებს და თანამებრძოლებს მოუწოდებს, შეეგუონ რეალობას, დათანხმდნენ პროკურატურის შეთავაზებას და დანაშაულის აღიარების სანაცვლოდ, პატიმრობას თავი დააღწიონ. რა დგას ორგანიზატორთა ამ სტრატეგიული უკანდახევის მიღმა — კანონის წინაშე მუხლის მოყრა, პასუხისმგებლობისგან გაქცევა თუ მორალური მარცხის აღიარება, მაშინ, როცა რადიკალების ნაწილი კვლავ დესტრუქციულ გზაზე რჩება?**

## დამამცირებელი არაფერია!

**4 ოქტომბრის** საქმეზე დაკავებული ოპერის ცნობილი მომღერალი **პაატა ბურჭულაძე** სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან სპეციალურ მიმართვას ავრცელებს:

**„4 ოქტომბრის საქმეზე დაკავებულების მიმართ ჩემი დიდი თხოვნა და მოწოდებაა, ყველამ მიიღოთ პროკურატურის მიერ შემოთავაზებული საპროცესო შეთანხმება და განთავისუფლდეთ უკანონო პატიმრობიდან. განსაკუთრებით მივმართავ აკადემიკოს გიორგი ჩახუნაშვილს, რომელმაც 4 ოქტომბერს, გაზის სპრეის მძიმე შედეგებისგან გადამარჩინა. როგორც პატივსაცემ და უხუცეს პატიმარს, ვთხოვ, მაგალითი მისცეს ყველას და გადადგას ეს ნაბიჯი. რაც შემეხება მე, როგორც ამ პროტესტის ერთ-ერთ ორგანიზატორს, ჩემი გათავისუფლების საკითხს ვერ განვიხილავ, ვიდრე 4 ოქტომბრის საქმეზე დაკავებული ბოლო პატრიოტი არ დატოვებს საპატიმროს“** — ამბობს **პაატა ბურჭულაძე.**



## სიცოცხლის განაჩენი?!

**ბურჭულაძის მოწოდებას მოჰყვა გამოხმაურება დაკავებულთა ოჯახის წევრების მხრიდან, სადაც მკვეთრად იკვეთება ორი განსხვავებული მიდგომა: ჯანმრთელობის გადარჩენის აუცილებლობა და პრინციპული უარი დანაშაულის აღიარებაზე.**

აკადემიკოს გიორგი ჩახუნაშვილის შვილი **დავით ჩახუნაშვილი** აცხადებს, რომ ოჯახი მამის ნებისმიერ გადაწყვეტილებას პატივს სცემს, თუმცა დასძენს, რომ 72 წლის მეცნიერისთვის 5-წლიანი პატიმრობა, ფაქტობრივად, სასიცოცხლო განაჩენია. მისი თქმით, ბურჭულაძის წერილში ჩანდა, რომ მან ბევრი იფიქრა, სანამ ამ ნაბიჯს გადადგამდა.

სრულიად განსხვავებულია **კონსტანტინე კოკაიას** პოზიცია. მისი შვილი **ნინო კოკაია** აცხადებს, რომ მამამისი საპროცესო შეთანხმების თემას არც კი განიხილავს და პრინციპულ უარს ამბობს არჩადენილი დანაშაულის აღიარებაზე. პროკურატურის შეთავაზებასა და პაატა ბურჭულაძის მოწოდებას მკვეთრი გამიჯვნით შეხვდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი **ირაკლი ნადირაძე.** „ფეისბუქზე“ გავრცელებულ ვრცელ მიმართვაში ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არანაირი შეთანხმების გაფორმებას ან დანაშაულის აღიარებას არ აპირებს.

## 4 ოქტომბრის სცენარის კრახი

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** ამბობს, რომ პაატა ბურჭულაძის განცხადება, რა თქმა უნდა, იმის აღიარებაა, რომ მათ დანაშაული ჩაიდინეს და ჩავარდა ის სცენარი, რაც 4 ოქტომბერს დაგეგმეს, შესაბამისად, სიტუაციიდან გამოსავლის ძიებაშია.

**„4 ოქტომბერს რაც მოხდა და რა სცენარიც გათამაშდა, ამაში ეჭვი უკვე არავის აღარ ეპარება. ეს იყო ამბოხის მცდელობა და უსერიოზულესი დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ. გასაგებია, რისკენაც მოუწოდებს ბურჭულაძე. ცხადია, ბურჭულაძე ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგებით გამოძვრეს. ეს კარგია და მისასალმებელია იქიდან გამომდინარე, რომ ეს არის კრახის აღიარება. მათ აღიარებას ახლა დანაშაულის შესახებ აზრი აღარ აქვს. რასაკვირველია, ასევე მითი იმის შესახებ, რომ ეს ადამიანები ე.წ. პოლიტპატიმრები იყვნენ, ჩამოიშალა კიდევაც. რა თქმა უნდა, დაიწყებენ არგუმენტების მოშველიებას, რომ ეს არის მხოლოდ ტაქტიკური ნაბიჯი, რათა ხალხი ციხიდან იხსნან“** — ამბობს ანალიტიკოსი.

მისივე თქმით, ეს ფაქტი შესაძლოა, მომავლისთვის პრევენცია იყოს — ვინც გაიფიქრებს ამ აბსურდს, უნდა იცოდეს, რომ ამ ყველაფერს ხელისუფლება სათანადო პასუხს გასცემს.

**„ნაწილი დაკავებულების განცხადება, რომ ისინი არ აპირებენ ვითომ საპროცესო შეთანხმების გაფორმებას და ა.შ., ბლეფია. ეს არის ერთგვარ პოზაში ყოფნა, რაც მათ რეალურად პოლიტიკურადაც არაფერს არ მისცემს. ის რადიკალური მუხტი, რაც მათ მხარდამჭერებში არსებობდა, 4 ოქტომბრის შემდეგ სრულიად არის განულებული.**

**შესაბამისად, თუ გათვლა აქვთ, რომ ეს რადიკალური ჯგუფები შეინარჩუნონ და ისევ ქუჩის აქციებზე ჰქონდეთ აქცენტირება, დიდი სისულელეა. აღარ არსებობს მათ მხარდამჭერებში ქუჩის და ე.წ. ამბოხის ენერგია, მისი სრულად გაფლანგვა მოხდა. არც არასდროს არ იყო იმ მასშტაბის, რომ რამე სერიოზული მომხდარიყო, მაგრამ ისიც კი აღარ არის დარჩენილი. მგონია, კიდევ თუ დაწერს რომელიმე საპროცესო შეთანხმებაზე განცხადებას, სხვებიც მიჰყვებიან. ამ განცხადებების უკან სერიოზული არაფერი არ დგას. ეს არის საჩვენებელი „პაკაზუხობა“, ჟარგონზე რომ ვთქვათ“** — ამბობს ანალიტიკოსი.

## ხელისუფლების პოზიცია და ჰუმანური გამოსავალი

**რაც შეეხება კითხვას, სურს თუ არა თავად ბურჭულაძეს საპროცესო შეთანხმების გაფორმება, ანალიტიკოსი დავით ზარდიაშვილი ამ ფაქტს არ გამორიცხავს, თუმცა მიიჩნევს, რომ ხელისუფლება ამ ნაბიჯზე არ წავა.**

შესაძლოა, სხვებთან დაკავშირებით ამის მზაობა იყოს, მაგრამ ზარდიაშვილი არ ელის, რომ ბურჭულაძესა და სხვა ლიდერებს საპროცესო შეთანხმებას გაუფორმებენ.

**„ხელისუფლების გადაწყვეტილება, რომ ამ ადამიანებს საპროცესო შეთანხმება გაუფორმდეთ, ადამიანურ და ჰუმანურ სახეს აჩვენებს. ფაქტია, ხელისუფლება ამით ამბობს, რომ მისი თვითმიზანი ვინმეს დასჯა არ არის, რომ ეს არაა**



**შურისძიება — ეს არის სამართლის აღსრულება, თუმცა აქედან გამოსავლის ძიებაც. ხელისუფლება ამით აჩვენებს, რომ ქრისტიანული მოძღვრების გამტარებელია და იქნებ, როგორმე, ეს ადამიანები მონანიებით დაუბრუნდნენ რეალობას და ამ სისულელეებს თავი დაანებონ, რის გამოც ციხეში აღმოჩნდნენ“** — ამბობს **ზარდიაშვილი.**

ლიკა ბერიკაშვილი



# ღირსება სულის სამოსელია, შადიმანო ოქრიაშვილებო და შამანიდებო!



**სოციალურ ქსელში საკმაოდ ითქვა და დაიწერა ნოდარ დუმბაძის მიმართ გამოთქმულ გაუმართლებელ „ქილიკზე“, იმაზეც, რაც თავს გადახდა იუმორისტ ონისე ოქრუაშვილს, რამაც საზოგადოების მწვავე მსჯელობა გამოიწვია. თავს ვიკავებდი ხმამაღლა ამომეთქვა საკუთარი გულისთქმა, მაგრამ ინტერნეტით გავრცელდა დუმბაძის ოჯახზე მორიგი დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი ინფორმაცია, პარტია „ლელოს“ წევრის, მწერალ ლაშა ბუღაძის მეუღლის სოფო შამანიდისა.**

**„ნოდარ დუმბაძე არის უნიჭო მწერალი. თან კომუნისტი. მისი მთელი შთამომავლობა ნაძირლებია.“**

ყველაფერს აქვს საზღვარი. შეუძლებელია ამ ქალბატონს არ ვუთხრა, რომ ცდებით დიაცო, ძალიანაც ცდებით.

ძალადობა მძიმეა, მიუღებელია, რა ფაქტორითაც არ უნდა იყოს განპირობებული. ყველას მოვუწოდებ, რომ ადამიანურად გავარკვიოთ ერთმანეთში ურთიერთობა. ამასთან, არ შეიძლება უდიერად მოვიხსენიოთ ის ადამიანები, რომლებიც საზოგადოებას უყვარს. ეს არ ეხება მხოლოდ ნოდარ დუმბაძეს, არამედ ეხება ყველა დარგის წარმატებულ ადამიანს, საზოგადო მოღვაწეს, სპორტსმენს და ასე შემდეგ.

ეს არის სწორი მიდგომა. არიან საქართველოში ადამიანები, რომლებიც არ გაპატიებენ ღირსეულთა შეურაცხყოფას. არ გაგიტარებენ ამ უზნეობას და ეს ვერ აგიტანიათ თქვენ!

არ შეიძლება ყველაფერზე ხუმრობა. ყველაფერი არ ითქმის, როგორც ყველაფერი არ იჭმევა.

ახლოს ვიცნობდი ნოდარ დუმბაძეს. მქონდა ამ დიდებულ ადამიანთან ურთიერთობა. მისი დაკრძალვის დღეს მწერალთა კავშირიდან რომ ასვენებდნენ, ზღვა ხალხი მოვიდა. ვინც შენობაში შესვლას და გამოთხოვებას ვერ ახერხებდა, ყვავილებსა და თაიგულებს „გადაწოდებით“ გადასცემდნენ და პირველად ვიხილე უმშვენიერესი სურათი, ადამიანების თავზე სამ რიგად „მოდინარი“ ნაირფერი ყვავილების გროვა, რომელიც დიდი ხანი მიედინებოდა მწერალთა სახლისკენ.

შეუძლებელია მშვიდად წაიკითხო ს. შამანიდის ბოდვა და არ აღელდე!

როგორ ეტყობა ქალბატონს, რომ თავისი მეუღლის **ლაშა ბუღაძის** შემოქმედების თაყვანისმცემელია და სხვა ყველა წყალსაც წაუღია...

არ მინდა მწერალზე რაიმე უარყოფითი ვთქვა. საზოგადოებამ იცის და აფასებს მამა-შვილი ბუღაძეების ნაცისტურ შემოქმედებას და მათ პოლიტიკურ მიკერძოებას.

ღმერთი მაღალია და პირუთვნელი განმსჯელი.

აქვე მინდა განახსენოთ ლიტერატურის კრიტიკოსის, შესანიშნავი მოაზროვნის გურამ ასათიანის სიტყვები ბატონ ნოდარ დუმბაძეზე. „რამდენ ადამიანს მოეფერა ის თავისი სიტყვით, რამდენთა გულების გათბობა მოასწრო, რამდენი ხელჩაქნეული შემოაბრუნა, მოაქცია, დაარწმუნა, რომ ცხოვრება ღირს. რომ სიცოცხლე მიუხედავად უამრავი უკეთურებისა, მაინც მადლია, მაინც სიკეთეა, მაინც მშვენიერია და სანამ ცოცხალი ხარ, შენც ამ სიკეთეს უნდა მოუარო, მოესიყვარულო, ამრავლო, ააღორძინო.“

ეტყობა, თქვენ, შამანადის ასულო, ამგვარი შეგრძნებებისაგან დაცლილი ბრძანდებით. თქვენთვის უცხოა კეთილშობილება, რომ ადამიანებს უნდა მოესიყვარულო, ბედნიერება ამრავლო და სიკეთე ააღორძინო.

ბატ-ნ ნოდარის აქვს შესანიშნავი გამონათქვამები. მათგან ერთი მუდამ მახსოვს:

**„ღირსება პერანგი არ არის, რომ ვინმემ ძალით ჩაგაცვას, ან ძალით გაგხადოს, ღირსება სულის სამოსელია“.**

ვაგლახ, რომ თქვენ, პარტიული გავლენის მსხვერპლად რჩებით, ქალბატონო სოფო შამანიდ, რადგან შეგიძლიათ გაუაზრებლად დაამციროთ დიდებული მწერალი და მისი შთამომავლობა. არა და ნოდარ დუმბაძის გარეშე ქართული ლიტერატურა დაკარგავდა დიდებულ სხივს, აუცილებელ ფერადოვნებას, სითბოსა და ეშხს.

რაც შეეხება მწერლის კომუნისტობას? ქალბატონო, მიიხედეთ უკან, ვინ იყვნენ თქვენი და თქვენი მეუღლის ბაბუები და ბებიები? იმის გამო, რომ მათ საბჭოთა პერიოდში მოუწიათ ცხოვრება, ეს დასაძრახია?

**თქვენს ძარღვებში ანტიქართველის სისხლია დაგუბებული, რადგან შეგიძლიათ ადამიანების უმოწყალო შეურაცხყოფა და ცილისწამება. სიტყვითმკვლელობა ჰქვია ამას, უვიცო, ავადმყოფო ბუღაძეებო და შამანიდებო!**



**ბორის დავითაია,**
სენაკის საპატიო მოქალაქე.

# სიტყვითმკვლელო გვარამია, სად გეტევა ამდენი ბოღმა?

**ცავად ქვეყანაში სახალხო მოძრაობა ფუძნდება. ეს ინიციატივა MMA-ის მებრძოლმა გიორგი ქართველიშვილმა თანამოაზრეებთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე გააჟღერა. სახალხო მოძრაობა უცხოეთიდან დაფინანსებული, გარე ინტერესების მონურ მორჩილებაში მყოფი, გაუკუღმართებული იდეოლოგიის მქონე ადამიანებისა და მათგან შემდგარი ჯგუფების წინააღმდეგ იმუშავებს.**

იხ. 7 გვ.

**ქართული კულტურისა და ეროვნული იდენტობის დაცვაზე პასუხისმგებლობას სახალხო მოძრაობა იღებს!**

ქართული ღირებულებების, ფასეულობებისა და ტრადიციების დასა-





# დივერსია თუ საბოტაჟი?!



## ვის დაუკაკუნებს გელაძის უწყება?!

**ახლა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური არკვევს, რა მოხდა ქვეყანაში 24 და 25 ივლისს. ქვეყნის მასშტაბით ელექტროენერგიის ავარიულად გათიშვის გამო, გამოძიება საბოტაჟის — სსკ-ს 318-ე მუხლით დაიწყო, რაც საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებისთვის საფრთხის შექმნის მიზნით, სახელმწიფო საწარმოს ან სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების ნორმალური ფუნქციონირების ხელშეშლას ან მათ დაზიანება/განადგურებას გულისხმობს.**

სუს-ის მიერ გამოძიების დაწყებით უკმაყოფილო არიან ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტები, რომლებიც, სამწუხაროდ, ერთ დროს ქვეყნის უსაფრთხოების „გარანტორები იყვნენ“. **სალომე ზურაბიშვილი** აცხადებს, რომ ქვეყნის მასშტაბით ელექტროენერგიის მეორე გათიშვა ხელისუფლებამ საბოტაჟს მიაწერა და მოსახლეობას „აფრთხილებს“ ახალ შიდა და გარე მტრებს გამოძებნიან, ყველას, რუსეთის გარდა.

რა თქმა უნდა, ფაქტს გამოეხმაურა **მიხეილ სააკაშვილი** და დაწერა, რომ მისი „ტყვეობის“ მეხუთე წლისთავისთვის, საქართველოში მობრუნდა სამი მეგობარი — კრიმინალი, უშუქობა და უწყლობა: **„მთავარია, მიშა არ მობრუნდეს ხალხოო! და დანარჩენი ვინც უნდა ის მობრუნდეს“**, — წერს უკრაინის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილი.

ქვეყნის მასშტაბით ელექტროენერგიის მიწოდების ავარიულად გათიშვის საკუთარი ხედვა აქვს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრს **რომან გოცირიძეს**, რომლის განცხადებით, კრიპტოსაწარმოები ვამპირები არიან და ენერგოსისტემაზე დატვირთვას ქმნიან, ამის შედეგია გახშირებული ავარიები. შესაბამისად, მისი თქმით, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში კრიპტოს მოპოვება დაუყოვნებლივ უნდა აიკრძალოს.

გოცირიძე ამბობს, რომ „კრიპტოსაწარმოები“ ქვეყნის ენერგოსისტემას ანგრევენ, სარგებლობენ დაუმსახურებელი საგადასახადო და ენერგეტიკული შეღავათებით და რეალურად მმართველი გუნდის ბიზნესკლანის ინტერესებს ემსახურებიან. გოცირიძის თქმით, საქართველოში კრიპტომაინინგის საწარმოები ქვეყნის ელექტროენერგიის დაახლოებით 6%-ს მოიხმარენ, რაც ბათუმის წლიურ მოხმარებას აჭარბებს.

**„როგორი ენერგოტევადიც არ უნდა იყოს ნებისმიერი დარგი, მას არსებობის უფლება აქვს, თუ კონკურენტულ გარემოში ფუნქციონირებს და მოგებას იძლევა. საქართველოში კრიპტომაინინგის საწარმოები სწორედ იმიტომ არსებობენ, რომ სასათბურე პირობებით სარგებლობენ: ისინი მთლიანად არიან გათავისუფლებულები გადასახადისგან, ხოლო ელექტროენერგიას შეღავათიანი პირობებით იღებენ. ამ შეღავათების გარეშე, ყველა მომენტალურად შეწყვეტდა არსებობას. ისინი ვამპირები არიან, რომლებიც სისხლს სწოვენ ენერგეტიკას და ქვეყნის ბიუჯეტს და ამით საზრდოობენ. ამ საწარმოების კიდევ ერთი თავისებურებაა, რომ ისინი დღე-ღამის განმავლობაში, ზამთარზაფხულ, უწყვეტ რეჟიმში მუშაობენ და ენერგოსისტემაზე დატვირთვას ქმნიან. ამის შედეგია გახშირებული ავარიები. საქართველოში ისინი მოიხმარენ ქვეყნის მიერ წარმოებული ელექტროენერგიის დაახლოებით 6 პროცენტს, ხოლო აფხაზეთის მოხმარების გათვალისწინებით ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო იზრდება. საერთო მოხმარება დაახლოებით 1 მილიარდ კილოვატსაათს აღწევს, რაც მეტია, ვიდრე ბათუმის წლიური ელექტროენერგიის მოხმარება. ყველა კრიპტოქარხნის უკან „ქართული ოცნების“ ბიზნესკლანის წარმომადგენლები დგანან, ხოლო მთავარი კრიპტოვამპირი, გლდანის საწარმო, ივანიშვილის მიერ იყო დაფუძნებული“**, — წერს **რომან გოცირიძე**.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, უჩვეულო მოვლენა იყო, მიყოლებით მოხდა მთლიანად ენერგოსისტემის გათიშვა. **შალვა პაპუაშვილის** განცხადებით, მნიშვნელოვანია, დადგინდეს ყველა დეტალი, თუკი არის ადამიანური ფაქტორი, ვინმეს ჩარევა, რაიმე საბოტაჟის ხასიათის ქმედება, გამოვლენილი უნდა იყოს. მისი თქმით, ყველა დეტალი უნდა გაირკვეს.

პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ლევან მაჭავარიანი** თვლის, რომ სუს-ის მიერ გამოძიების დაწყება არის აბსოლუტურად ადეკვატური და რელევანტური.

**„ეს არის ჩვეულებრივი საბოტაჟი ქვეყნის წინააღმდეგ. ყველაფერი შესასწავლია და თუ ვინმეს ხელი ურევია, ადამიანი იქნება, თუ ჯგუფი, აუცილებლად გამოსავლენია, ვინაიდან ეს არის ჩვეულებრივი საბოტაჟი ქვეყნის წინააღმდეგ. ვერსიებზე საუბარი ძალიან რთულია და ჩემი მხრიდან სწორი არც იქნებოდა. თუმცა, რა თქმა უნდა, სუს-ის მიერ გამოძიების დაწყება არის აბსოლუტურად ადეკვატური და რელევანტური, იქიდან გამომდინარე, რომ ასეთი მასშტაბური ხასიათის გამორთვა, ავარია — ეს ყველაფერი შესასწავლია“** — აღნიშნა **ლევან მაჭავარიანმა**.

ანალიტიკოსის **ედიშერ გვენეტაძის** შეფასებით:

**„უდავოა, ახლა ჩართეს 2003 წელს წარმატებით გამოცდილი — დენის გათიშვა. ხომ ხედავთ, რა ხდება ახლა, ხელოვნური ინტელექტის საუკუნეში და რა იქნებოდა 100 წლის წინ. ამიტომაც... ძალიან კარგი იქნება დაწყებული გამოძიების დაჩქარება და ბოლომდე მიყვანა, ანუ ნეოტროცკისტულ-ლიბერასტული ძალის, იგივე კოლექტიური „ნაცმოძრაობის“ სამართლებრივად, ერთხელ და სამუდამოდ აღგვა პირისაგან მიწისა. საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქეებმა ვიცით და ვხედავთ, რომ გარედან არსებული უსაშინლესი ძალების ზეწოლის გამო, ეს ურთულესი საქმეა, მაგრამ აქვე, ამ პროცესის დასრულების გარეშე, ქართული სახელმწიფო და მოსახლეობის აბსოლუტურზე აბსოლუტური უმრავლესობა უმძიმეს დღეში აღმოჩნდება“** — აცხადებს **ედიშერ გვენეტაძე**.

**თამთა ქარჩავა**




## ევროკავშირის სანქციები „ინტერ რაოს“: საფრთხეები თბილისისთვის მინიმალურია?!

**ევროკავშირის მიერ რუსული ენერგოგიგანტის „ინტერ რაოს“ (Inter RAO) სანქცირებულ სუბიექტთა სიაში შეყვანამ საქართველოში პოლიტიკური დებატები გააქტიურა. ვინაიდან „ინტერ რაო“ ნიდერლანდური ჰოლდინგების მეშვეობით არაპირდაპირ ფლობს „თელასის“, „თელმიკოსა“ და „ხრამი ჰესების“ საკონტროლო პაკეტებს, გაჩნდა კითხვები ადგილობრივ ენერგობაზარზე შესაძლო გავლენის შესახებ. თუმცა, ხელისუფლებისა და სექტორის მარეგულირებელი უწყებების პოზიცია ერთმნიშვნელოვანია: ქვეყნის ელექტროსისტემასა და მოსახლეობის მომარაგებას საფრთხე არ ემუქრება.**

### რას ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა

**საქართველოს კანონმდებლობა და ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის (სემეკ) მექანიზმები იძლევა იმის სრულ გარანტიას, რომ კომპანიებში ნებისმიერი ფინანსური თუ საოპერაციო შეფერხებისას, სახელმწიფო დაუყოვნებლივ დანიშნავს სპეციალურ მმართველს, რაც სისტემის უწყვეტ მუშაობასა და ტარიფების სტაბილურობას უზრუნველყოფს.**

ხელისუფლებისა და ექსპერტთა ნაწილის შეფასებით, საერთაშორისო სანქციები უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ საოპერაციო კომპანიებზე — „თელასსა“ და „თელმიკოზე“ ავტომატურად არ ვრცელდება იმგვარად, რომ აბონენტებს ელექტროენერგიის მიწოდება შეეზღუდოთ.

**„კანონმდებლობით ჩვენ გვაქვს ბერკეტი, რომ სპეციალური მმართველი დავნიშნოთ დაუყოვნებლივ ისე, რომ სერვისის მიწოდების შეფერხება არ მოხდეს. ეს ძალიან სპეციფიკური პროდუქციაა, ელექტროენერგია, რომლის გათიშვა წარმოუდგენელია დიდი ხნის განმავლობაში, როგორც მოსახლეობისთვის, ისე კომერციული სექტორისთვის. თუ მოხდება ისე, რომ „ინტერ რაო“ და მისი შვილობილები მოყვებიან სანქციებში, მარეგულირებელი კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას სპეციალური მმართველის დანიშვნასთან დაკავშირებით, რომ არც სერვისის მიწოდების შეფერხება მოხდეს და ფინანსური ნაკადების მოძრაობაც არ შეფერხდეს“** — აცხადებს **დავით ნარმანია**.

### რას ამბობს ოპოზიცია

**ამის საპირისპიროდ, ოპოზიციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ევროკავშირის გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ აჩენს კითხვას, რამდენად უსაფრთხოა ქვეყნის ენერგოსისტემის რუსულ კომპანიებზე დამოკიდებულება.**

„ძლიერი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი **გრიგოლ გეგელია** მიიჩნევს, რომ ეს ნაბიჯი რუსეთის გავლენის შემცირების პოლიტიკის გაგრძელებაა.

### რას ამბობენ დარგის სპეციალისტები

**პოლიტიკური შეფასებების მიღმა, ეკონომიკის ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ იმ პრაქტიკულ, საბანკო და რეპუტაციულ გამოწვევებზე, რომლებიც შესაძლოა, სანქციების ფონზე გაჩნდეს.**

პირველ რისკად ეკონომისტი **გიორგი ხიშტოვანი** საბანკო სექტორთან ურთიერთობას ასახელებს.

**„რამდენად მოემსახურება ქართული საბანკო სექტორი ამ დედაკომპანიის შვილობილ კომპანიებს საქართველოში? წარმოიდგინეთ, ყველა ოჯახს ყოველთვიური ფინანსური შეხება აქვს ამ კომპანიასთან, რომელსაც ახორციელებს საბანკო სერვისის გამოყენებით. თუ ეს არ მოხდა, ჩვენ შეიძლება, მივიღოთ „ბორჯომის“ მსგავსი ქეისი, როდესაც მოუწიათ თავის დროზე რუს აქციონერებს ამ კომპანიის წილის გაყიდვა, შემდეგ სახელმწიფო ჩაერია და რაღაც ზომები მიიღო. ასე მარტივად არ დათმობენ ამ აქტივს, ეს პირველი პრობლემა და მეორე, რომც მოინდომონ ამ აქტივის დათმობა, საიდან უნდა დათმონ ეს აქტივი? ისინი არ იქნებიან მსურველი, იაფად გაყიდონ ეს აქტივი“** — განმარტავს **გიორგი ხიშტოვანი**.

თუმცა ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ როგორც „ბორჯომის“ პრეცედენტმა აჩვენა, საერთაშორისო სანქციების დაწესების შემდეგ, კომპანიაში წარმოქმნილი საბანკო შეზღუდვების დასაძლევად საჭირო გახდა სახელმწიფოს ჩართულობა და წილების ნაწილის უსასყიდლოდ გადაცემა. ექსპერტ **პაატა ბაირახტარის** მოსაზრებით, ტექნიკური გამოსავალი არსებობს.

**„ამ ნაწილში შეიძლება, იყოს რაღაც ტიპის გამოსავლები, როგორიც არის პრივატიზაცია, როგორიც შეიძლება იყოს, მაგალითად, სახელმწიფოს შესვლა ამ კომპანიებში და ა.შ. გამოსავლები შესაძლებელია იქნას მონახული, მაგრამ პრობლემა, რა თქმა უნდა, ამ ნაწილში შეექმნებათ, დისკომფორტიც, უდიდესი იქნება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და მტკივნეულია, შეიძლება, ტექნიკურად, რაღაც გვერდის ავლის საშუალებები მოიძებნოს, მაგრამ რეპუტაციულად ეს ყველაფერი ქვეყნის იმიჯზე, რა თქმა უნდა, ნეგატიურად იმოქმედებს“** — აცხადებს **პაატა ბაირახტარი**.

მიუხედავად პოლიტიკური დებატებისა და ექსპერტების განსხვავებული პროგნოზებისა, ოფიციალური უწყებები ირწმუნებიან, რომ პროცესები სრულად კონტროლირებადია და საქართველოს ენერგოსისტემის სტაბილურობას საფრთხე არ ემუქრება.

**ლიკა ბერიკაშვილი**



# სიტყვითმკვლელო გვარამია, სად გეტევა ამდენი ბოლმა?

(მეხუთე გვერდიდან)

**„გვინდა, გავერთიანდეთ და ბევრი კარგი, ქართული საქმე ერთად ვაკეთოთ. ე.წ. იუმორისტები, რომლებიც თავის თავს იუმორისტებს უწოდებენ, ჩვენს იდენტობაზე, ქართველობაზე, ჩვენს წინაპრებზე, ჩვენი კულტურის წარმომადგენლებზე ქილიკითა და დაცინვით საუბრობენ. ვფიქრობ, არც ერთმა ქართველმა ეს ყველაფერი ისე არ უნდა დავტოვოთ, ამაზე რეაგირება უნდა გვქონდეს. თუკი ჩვენი კულტურის და იდენტობის დაცვისთვის იქნება აუცილებელი, საფრთხეს არ მოვერიდებით — მზად ვართ, ციხეშიც კი წავიდეთ“** — აცხადებს MMA-ის მებრძოლი **გიორგი ქართველიშვილი**.

მისივე განმარტებით, მოძრაობა ძალიან აქტიური, სოლიდური და მაქსიმალურად კონსტრუქციული იქნება, მაგრამ თუ ქართული კულტურისა და ეროვნული იდენტობის დაცვისთვის იქნება აუცილებელი, არანაირ საფრთხეს არ მოერიდებიან.

**„ქართველი ხალხისთვის საამაყო წინაპრების, კულტურისა და იდენტობის შეურაცხყოფა, შემდეგ კი აღნიშნულ საკითხებზე აქტიურად განხილვა და მცდელობა, რომ ეს ყველაფერი ჩვენი მოსახლეობისთვის ნორმად იქცეს, მხოლოდ ეროვნული ღირებულებების გაუფასურებას ისახავს მიზნად, რომელთა გარშემოც ქართველი ერია გაერთიანებული.**

**როგორც წესი, მსგავსი კამპანიების ავტორები — ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის მატარებლები, ქვეყნის გარედან დაფინანსებული ჯგუფები, პოლიტიკოსები, ე.წ. აქტივისტები, მედიის წარმომადგენლები თუ მათთან აფილირებული ადამიანები არიან. ეს ადასტურებს, რომ ყოველივე ქართულზე შეტევა არა ბუნებრივი, არამედ მიზანმიმართულად დაგეგმილი და ხელოვნურად აგორებული პროცესია, რასაც თანამედროვე ტექნოლოგიურ ეპოქაში ხშირად უკონტროლო სახე აქვს“!** — განაცხადა **გიორგი ქართველიშვილმა**.



სახალხო მოძრაობის წევრი **ლევან ყურაშვილი** აცხადებს, რომ არ მისცემენ უფლებას საქართველოს ფარგლებს გარეთ გარკვეულ ძალებს, დააფინანსონ ქვეყნის დესტაბილიზაცია და ეროვნული ინტერესების შელახვა: **„საგარეო ძალები წლების განმავლობაში ყველაფერს აკეთებენ, რომ ყველაფერი ქართული შელახონ და ქვეყანაში დესტაბილიზაცია მოხდეს“.**

ახალი მოძრაობის დაფუძნებას მალევე გამოეხმაურა რადიკალური ოპოზიცია. მათი შეფასებით, ქვეყანაში ბრუნდება „მხედრიონის“ ანალოგი, რომელიც მხარდაჭერილია ხელისუფლების მიერ. მაგალითად, **ნიკა გვარამია** MMA-ის მებრძოლს პირდაპირ ემუქრება და აცხადებს, რომ რასაც ის საბრალო ბრიყვი აანონსებს, მორალის პოლიცია კი არა, მასობრივი ძალადობის ინსპირაციაა.

**„წავიკითხე იმ გონებაჩლუნგი ბიჭის ბოდიალი. ნიშანდობლივი რამე უთქვამს: თუ საჭიროა, ციხეშიც წავალო. პატრონი თუ ჰყავს და მყვარებელი, გააგებინეთ, რომ ამ „რაზგონით“, როგორც წესი, მორგში მიდიან, ციხეში კი არა. რასაც ეგ საბრალო ბრიყვი „აანონსებს“, მორალის პოლიცია კი არა, მასობრივი ძალადობის და ანგარიშსწორების ინსპირაციაა, ფსევდომორალის სახელით. და ეგ მორევაზე არსად და არასდროს ყოფილა და არც იქნება. არც კუნთები შველის, არც ხელისუფლების მხარდაჭერა, არც ტრადიციებსა და წინაპრებს ამოფარება: ასეთია ძალადობის სპირალის შეუბრალებელი დიალექტიკა.**

**რაღაც დროს, კიდევ უფრო თავზეხელაღებული, ვინმე „კაი გოგოს ძმა“ან „კაი ბიჭის შვილი“ 90-იან წლებში გავრცელებულ უბნელეს ფორმულას გაიხსენებს: „სპიცა ღვიძლში“ ბოთლიდან ბნელი 90-იანების უსასტიკესი ჯინის ამოშვებას თუ ცდილობთ, მეხსიერება არ გივარგათ: ყველა მიწაში წევს, ვინც ეგ ბოლოს სცადა. არც წინაპრების ტრადიციების მთავარი ფუნდამენტის, ბიბლიის ცოდნა გეტყობათ: „ყველანი, ვინც აიღებენ მახვილს, მახვილითვე დაიღუპებიან“** — წერს **ნიკა გვარამია**.

რადიკალური ოპოზიცია თვლის, რომ შესაბამისმა უწყებებმა სასწრაფოდ უნდა აღკვეთონ ანტიკონსტიტუციური, ე.წ. მორალის პოლიციის შექმნის მცდელობა, რადგან ეს იქნება, როგორც თავისუფალ აზრზე, ასევე გამოხატვის თავისუფლებაზე და შეკრების თავისუფლებაზე ძალადობა. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი **ირაკლი ფავლენიშვილი** აცხადებს, რომ ქვეყანას არაფორმალური ორგანიზაციების არსებობის ძალიან მძიმე წარსული და გამოცდილება აქვს — ეს სამოქალაქო დაპირისპირებასთან მიგვიყვანს.



**„ეს ადამიანები არ მალავენ საკუთარ კავშირებს „ქართული ოცნების“ ლიდერებთან. რაც შეეხება ასეთ არაფორმალურ ორგანიზაციებს, ამ ქვეყანას აქვს ძალიან მძიმე წარსული ასეთი ორგანიზაციების გამოცდილების და კარგად გვესმის, რომ როდესაც არაფორმალური ორგანიზაციები შეეცდებიან „მყისიერ რეაგირებას“, დიდი ალბათობით, ეს კიდევ უფრო დაამძაფრებს ისედაც მძიმე მდგომარეობას. სამოქალაქო დაპირისპირებასთან და იმ მდგომარეობასთან მიგვიყვანს, რომელიც ყველას გვინდა, რომ თავიდან ავიცილოთ. ძალადობა ვერ იქნება შესაბამისი პასუხი, თუნდაც როდესაც სიწმინდეებს შეეხება საქმე. სამართლებრივ სახელმწიფოში ინსტიტუციები უნდა მუშაობდნენ და იცავდნენ ყველაფერს, რაც არის ძვირფასი და ღირებული და არა არაფორმალური ორგანიზაციები. როდესაც არაფორმალური ორგანიზაციები იწყებენ მნიშვნელოვანი, თუნდაც დეკლარირებული ღირებულებების დაცვას, არის ძალიან სახიფათო ქვეყანაში არსებული მდგომარეობისთვის, მათ შორის სამოქალაქო დაპირისპირების კუთხით“** — აცხადებს **ირაკლი ფავლენიშვილი**.

„ქართული ოცნების“ წევრი, დეპუტატი **არჩილ გორდულაძე** ფიქრობს, რომ კარგია, როცა ადამიანებს აქვთ სურვილი, ხმა აიმაღლონ კულტურის, რწმენის, ადამიანების უფლებების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე, თუმცა, მისი თქმით, ეს უნდა მოხდეს კანონის დაცვით.



**„საქართველოში პირთა თავისუფალი გაერთიანება უზრუნველყოფილია. ყველას აქვს უფლება, რომ გაერთიანდეს, საკუთარი აზრი დააფიქსიროს, ამავდროულად, ეს უნდა იყოს კანონის ჩარჩოებში სრულად მოქცეული. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია და კარგია, როდესაც ადამიანებს აქვთ სურვილი, დაიცვან, ხმა აიმაღლონ ქვეყნის კულტურის, რწმენის, ადამიანების უფლებების, ისტორიის წინააღმდეგ მიმართულ მიზანმიმართულ ქმედებებზე. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი უნდა მოხდეს კანონის დაცვით და სრულ ჩარჩოებში,“** — განაცხადა **არჩილ გორდულაძემ**.

სახალხო მოძრაობის შექმნამ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, მათ შორის ხელისუფლების მომხრეებში, რომლებიც ემიჯნებიან მსგავსი მოძრაობის შექმნას. ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** ფიქრობს, რომ სწორედ ბოლო პერიოდში განვითარებული პროცესების ლოგიკამ გააჩინა აღნიშნული მოძრაობის ჩამოყალიბების საჭიროება.



**„MMA-ის მებრძოლი გიორგი ქართველიშვილისა და მისი თანამოაზრეების მიერ, ახალი „სახალხო მოძრაობის“ დაფუძნებაზე დიდი და პატარა „კაცუკების“ რეაქციებმა გამახსენა ვარლამ არავიძის ფრაზა — „დაფრთხნენ მოხუცები!?“ — ცნობილი ფილმიდან, „მონანიება“. თუკი ირონიის გარეშე შევხედავთ, გვაქვს სიტუაცია, როდესაც „ქვას შეხვდა ქვა“. მე თუ მკითხავთ, არ იქნებოდა ქართველიშვილი, ადრე თუ გვიან აუცილებლად გამოჩნდებოდა ვინმე სხვა, ვინც მსგავს განაცხადს გააკეთებდა, რადგანაც აქ ბოლო დროს განვითარებული პროცესების ლოგიკამ გამოიწვია ეს ყველაფერი. დიახ, ეს საქართველოა, თავის კულტურულ-ცნობიერი, ლიბერალური და კონსერვატიული პარადიგმებით. დანარჩენებზე რა მოგახსენოთ“** — წერს **ზაალ ანჯაფარიძე**.

**თამთა ქარჩავა**

## „ნაცებში“ ფული აღარ გვაქვს და შეგვიგროვეთო!..

**ოპოზიციაში ისეთი მძიმე მდგომარეობაა, რომ ამაზე ბევრი საუბარიც შეუძლებელია. „ალიანსში“ და „ნაცებში“ ფულიც აღარ გვაქვს და შეგვიგროვეთო. სამარცხვინოდ იქცევიან,** „ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა **ლევან მაჭავარიანმა** განაცხადა.

მაჭავარიანს კითხვა დაუსვეს, რა კომენტარს გააკეთებდა იმასთან დაკავშირებით, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ პარტიის ყრილობისთვის მხარდამჭერებისგან შემოწირულობებს ითხოვს.



**„ნანუკა ჟორჟოლიანის არჩევას აპირებენ „დაღუპულები არიან. ეს სპექტაკლის ნაწილია მათი გარე პატრონების მხრიდან, ვისაც სურს, საზოგადოების ყურადღება სწორედ ამ დაღუპულ ოპოზიციაზე გადავიდეს, „ლელო“ და გახარია კი ამ სპექტაკლების მიღმა დატოვონ, თითქოს დამოუკიდებელი ძალები არიან, დამოუკიდებელ დღის წესრიგს აყალიბებენ, ვინაიდან გარე პატრონები 2028 წლის არჩევნებზე ფსონის დადებას „ლელოსა“ და გახარიაზე აპირებენ. აგენტურას და მდიდარ „ენჯეოებს“ დაფინანსება საგრძნობლად შეუმცირდათ, როდესაც ტრამპმა ბეჭედი დაუსვა იმას, რაზეც „ქართული ოცნება“ ვსაუბრობდით და ვამტკიცებდით.**

**ამერიკამ NED-ი და USAID-ი პირდაპირ კრიმინალურ ორგანიზაციებად გამოაცხადა, რის გამოც აგენტურას დაფინანსების, სულ მცირე, ნახევარი შეუჩერდა. ეს დაფინანსება უკვე მთლიანად დააწვა ბრიუსელს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში გამჭვირვალობას სწორედ ამ მიზეზიდან გამომდინარე ებრძვის. შესაბამისად, ფული უჭირთ. ეს ძალიან კარგია იქიდან გამომდინარე, რომ პოლიტიკური ველი ასეთი აგენტურული აქტორებისგან უნდა მოსუფთავდეს“,** „განაცხადა **ლევან მაჭავარიანმა**.

# ექიმი, სამართალმცოდნე, მეცნიერი

## ბესარიონ კილასონია 80 წლისაა



ნაღდი კაცი, მეგობართა იმედი; მედიცინის, ისტორიისა და ქართული მწერლობის „ცოცხალი ენციკლოპედია“ – დაახლოებით ასე შეაფასა ბესარიონ ნიკოლოზის ძე კილასონიას პიროვნება რამდენიმე წლის წინათ გაჯაღლო გულის რაჭველმა ჟურნალისტმა გია პლატონიშვილმა. ჩვენი რედაქციის სპორტული მიმართულების თავკაცს, როგორც რაჭის ღირსეკული შვილების მგზნებარე დამცველს, განსაკუთრებით ის ფაქტი მოწონებია, რომ ბესარიონ კილასონია ამ ძირძველი ქართული გვარის ერთადერთი აზნაურთა შტოს წარმომადგენელი ყოფილა რაჭიდან, ამბროლაურის ულამაზეს სოფელ კვაცხუთიდან, რომლის წინაპარმა, სულ რაღაც სამი საუკუნის წინათ, იმერეთის მეფისგან მიიღო ეს საპატიო წოდება...

დიდებული მედიკოსი, იურისტი, სასამართლო მედიცინის გამოცდილი ექსპერტი, თანამედროვე ბიოლოგიურ მიღწევათა ზედმიწევნით მცოდნე, სამედიცინო განათლების ერთ-ერთი რეფორმატორი, სტუდენტი-ახალგაზრდობის საყვარელი მასწავლებელი, შესანიშნავი მთხრობელი, იუმორის ნიჭით დაჯილდოებული არტისტული კაცი, სიჭაბუკის წლებში სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლებშიც ცეკვავდა...

პროფესორი ბესარიონ კილასონია თითქმის 55 წელიწადია, ნაყოფიერ პედაგოგიურ-სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა სასამართლო მედიცინასა და პათოლოგიურ ანატომიაში.

წლების განმავლობაში იგი იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დეკანი, პრორექტორი სასწავლო დარგში. ბესარიონ კილასონია მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მათ შორის ხუთი მონოგრაფია და სამი სახელმძღვანელოა.

მისი პრაქტიკულ-სამეცნიერო ნაშრომი „სასამართლო მედიცინა“ რამდენჯერმე გამოიცა და ამ ურთულესი დარგის სპეციალისტთა სამაგიდო წიგნად წარმოჩინდა.

ჩვენთვის, ჟურნალისტებისთვის, განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ ბესარიონ კილასონია დახვეწილი ლიტერატურათმცოდნე და საოცრად ღრმა, თუმცაღა ადვილად გასაგები პუბლიცისტური წერილებისა და კვლევების ავტორია. 2017 წლის 23 აპრილს, ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 180 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ბესარიონ კილასონიამ მშობლიურ სამედიცინო უნივერსიტეტში წაიკითხა საჯარო ლექცია – „მზე ჩასვლის შემდეგაც რჩება მნათობად“, რომლის შესავალ ნაწილში ავტორი ასე განმარტავდა ლექციის დანიშნულებას: „ილიას ბიოგრაფიიდან ისეთ თემებს განვიხილავ, რაც ასე ახლოსაა ჩემს პროფესიასთან – პათოლოგიურ ანატომიასა და სასამართლო მედიცინასთან. ამ საკითხებს ჯერჯერობით არავინ შეჰხებია, არავის შეუსწავლია. ვფიქრობ, ახალგაზრდა მედიკოსებისა და დიდი ილია ჭავჭავაძის მკვლევართათვის ეს არ იქნება ინტერესმოკლებული“...

მალე ეს პოპულარული ნაშრომი ცალკე წიგნადაც გამოვიდა და ილია ჭავჭავაძის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სიკვდილის მიზეზების შესახებ, პოეტის ვერაგული მკვლელობის მასალების შესწავლის საფუძველზე, უტყუარი დოკუმენტური სჯანი შემოგვთავაზა.

ათიოდე წლის წინათ ბატონმა ბესარიონ კილასონიამ ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტის თავის ქალას მიხედვით აღდგენის ეგრეთ წოდებული ჰაბიტოლოგიური მეთოდი სპეციალური მონოგრაფიის სახით შემოგვთავაზა. მაშინ ეს კვლევა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საგამომცემლო-სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით დაიბეჭდა.

ბუნებრივია, ნაშრომმა არნახული ინტერესი გამოიწვია, მაგრამ, შეზღუდული ტირაჟის გამო, ის მხოლოდ მეცნიერ-ისტორიკოსებისა და ფილოლოგებისთვის გახდა ხელმისაწვდომი.

„საქართველოს რესპულიკის“ მკითხველს გაზეთის ამ ნომრიდანვე აქვს შესაძლებლობა, გაეცნოს ამ უაღრესად საინტერესო კვლევის საგაზეთო ვარიანტს. დარწმუნებულნი ვართ, მასში უთუოდ დაინახავთ ცნობილი ექიმი-კრიმინალისტის ბესარიონ კილასონიას აზროვნების სიღრმეს, წერის კულტურას, პროფესიულ კეთილსინდისიერებას.

ავტორი ამ ნაშრომს უძღვნის უმცროსი ძმის ლევან კილასონიას ხსოვნას, რომელიც ცნობილი ხელოვნებათმცოდნე, ჟურნალისტი და ტელეწამყვანი იყო. სწორედ მან აუწყა მაყურებელს პირველად საქართველოს გაეროს წევრად მიღების დაუვიწყარი ინფორმაცია... ცნობილი ჟურნალისტი და რედაქტორი იყო ბესიკ კილასონიას მამა ნიკოლოზიც... ასე რომ ჩვენ ხაზგასმით გვახარებს ამ გამორჩეული ინტელექტუალისა და „ცოცხალი ენციკლოპედიის“ ცხოვრება და შემოქმედება.

კვლავაც მხნედ და ჯანმრთელად, სიცოცხლით, სიკეთით და სიყვარულით სავსე 80 წლის ბიჭო!

„საქართველოს რესპუბლიკის“
რედაქცია.

## ბესარიონ კილასონია

# პორტრეტი ნიკოლოზ ბარათაშვილისა



### მადლი შენს გამჩენს

### ეძღვნება ლევან კილასონიას ნათელ ხსოვნას

**სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყე პათოლოგიური ანატომიის კათედრაზე, რომელსაც იმჟამად განაგებდა აკადემიკოსი ვლადიმერ ჟღენტი. კათედრის პროფესორი იყო აკადემიკოსი ირაკლი ტატიშვილი. ერთხელ, საუბრის დროს, ვიცოდი რა, ბატონი ირაკლის მამა მღვდელი იყო, ვკითხე, თქვენი მამა განჯაში ხომ არ მსახურობდა-მეთქი.**

მითხრა, ახალგაზრდობაში იაკობ ტატიშვილი განჯის ეკლესიის მღვდლად იყოო განწესებული და დაინტერესდა, საიდან ვიცოდი. ჩემი სტუდენტობის დროს დიდი ზეიმით აღინიშნა გენიალური პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 150 წლისთავი. იმ წლებში მრავალი სტატია და მონოგრაფია გამოქვეყნდა, რომლებსაც კარგად ვიცნობდი. პროფესორს მოვახსენე, წაკითხული მაქვს, რომ მღვდელმა ტატიშვილმა გაზეთ „ივერიას“ მიაწოდა ცნობა განჯაში ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავის სავალალო მდგომარეობის შესახებ და, რომ არ დაკარგულიყო საფლავი, ქართველი საზოგადოებისაგან მოითხოვა, ეზრუნათ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის საქართველოში გადასვენების შესახებ-მეთქი. ამ ამბავმა ძლიერ გაახარა ბატონი ირაკლი და მთხოვა, მომეძებნა ის ნაშრომი, სადაც ეს ინფორმაცია ამოვიკითხე. განმეორებით მომიწია, ბარათაშვილის შესახებ არსებულ ლიტერატურას გავცნობოდი. ამ მასალების გადაკითხვისას შემხვდა 1956 წლის ჟურნალ „დროშაში“ **ნიკოლოზ კევლიშვილის** სტატია, რომელმაც პირველმა წამოაყენა წინადადება ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტის კრანიოლოგიური მეთოდით ე.ი. თავის ქალას მიხედვით აღდგენის შესახებ. იგივე საკითხი დააყენა ვასილ ჩაჩანიძემ 1974 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტის გარშემო“. დავინტერესდი ამ მეთოდით და გავეცანი ანთროპოლოგ მ.მ. გერასიმოვის შრომებს, რომელმაც დაადგინა, რომ არსებობს კანონზომიერი დამოკიდებულება სახის რბილ ქსოვილებსა და თავის ქალას შორის.

ლენინგრადში, ამჟამინდელ სანკტ-პეტერბურგში, კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე ყოფნისას იურდიული ფაკულტეტის კრიმინალისტიკის ლაბორატორიაში პრაქტიკულად გავეცანი ამ მეთოდს. „ცოდნით ანთებულმა“ მივმართე ცნობილ ანთროპოლოგს, აკადემიკოს **მალხაზ აბდუშელიშვილს,** რომ დამხმარებოდა ბარათაშვილის ნეშტის ექსჰუმაციაში და თავის ქალას მიხედვით მისი პორტრეტის შექმნაში. მალხაზ აბდუშელიშვილმა მითხრა, ბესიკ, ჯერ შენ „მაჭარი“ ხარ და, რომ „დაღვინდები“, მერე შეუდექი მაგ ოცნების განხორციელებასო. ვფიქრობ, რომ მართალი იყო აკადემიკოსი.

2017 წლის დეკემბერში აღინიშნა ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 200 წლისთავი. დიდი ინტერესით ვადევნებდი თვალს იუბილესთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს და, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ახალი ინფორმაცია ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესახებ არ დაბეჭდილა.

მეცნიერებაში დაგროვდა პიროვნების იდენტიფიკაციის მრავალი თანამედროვე მეთოდი და დადგა დრო, რომ ამ საკითხზე დავაფიქრო საზოგადოება.

თავის ქალას ძვლებით სახის რეკონსტრუქცია პირველად გააკეთა გერმანელმა ანატომმა ვილჰელმ ჰისმა 1895 წელს და შექმნა კომპოზიტორ იოჰან სებასტიან ბახის სახის გამოსახულება. ეს მეთოდი შემდგომში დაიხვეწა და დღეს უკვე შესაძლებელია, სამგანზომილებიანი ტექნოლოგიების საშუალებით მოხდეს თავის ქალას მიხედვით სახის რეკონსტრუქცია, რაც დღეისათვის პიროვნების იდენტიფიკაციის ეფექტურ მეთოდად ითვლება. სახის რეკონსტრუქცია მოითხოვს სპეციალისტისაგან ანთროპოლოგიის და ძერწვის უნარების კარგ ცოდნას. განასხვავებენ სახის სამგანზომილებიანი რეკონსტრუქციის მანუალურ და კომპიუტერულ მეთოდებს.

მანუალური მეთოდით თავის ქალაზე ან მის სამგანზომილებიან ასლზე ხდება საძერწი საშუალებების (პლასტილინი, თიხა, ცვილი) დამაგრება და სახის გამოძერწვა. არსებობს სახის სამგანზომილებიანი რეკონსტრუქციის სამი მეთოდი: 1. ამერიკელი კროგმანის მიერ შემუშავებული – სახის რეკონსტრუქცია რბილი ქსოვილების სისქის მიხედვით; 2. რუსული ანუ მ. გერასიმოვის მეთო-




იოჰან სებასტიან ბახის რეკონსტრუირებული სურათი

დი „სახის კუნთების, ხრტილებისა და ჯირკვლების შრეობრივი რეკონსტრუქცია; 3. ბრიტანული ანუ მანჩესტერის მეთოდი, რომელიც შეიმუშავა 1977 წელს ნეავემ „სახის რეკონსტრუქცია რბილი ქსოვილებისა და კუნთების ანატომიური მახასიათებლების გათვალისწინებით. ბრიტანული მეთოდი ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდების კომბინაციას წარმოადგენს და მიჩნეულია ყველაზე ეფექტურად, რადგან იძლევა სახის ორიგინალთან ყველაზე მეტად მიახლოებულ გამოსახულებას.

სახის სამგანზომილებიანი კომპიუტერული რეკონსტრუქცია არის სწრაფი, იაფი და ეფექ-



რიჩარდ III-ის თავის ქალის სამგანზომილებიანი სკანირებით მიღებული რეკონსტრუირებული სურათი

ტური მეთოდი – თავის ქალას სამგანზომილებიანი სკანირების შემდეგ ხდება სპეციალური კომპიუტერული პროგრამით სახის რეკონსტრუქცია.

მაგალითისათვის მოვიყვან 2012 წელს დიდ ბრიტანეთში ლესტერის უნივერსიტეტის და რიჩარდ III-ის საზოგადოების მიერ განხორციელებულ ერთობლივ პროექტს, რომელიც მიზნად ისახავდა მეფე რიჩარდ III-ის დაკარგული საფლავის მოძიებასა და ნეშტის იდენტიფიკაციას. 2013 წლის 4 თებერვალს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ იქნა ადამიანის ჩონჩხი, რომელსაც კარგად გამოხატული სქოლიოზი და მახვილი საგნით მიყენებული მრავლობითი პერიმორტული მოტეხილობები აღენიშნებოდა. ლესტერის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ძვლების რადიაქტიული ნახშირბადით გამოკვლევით დაადგინეს დამარხვის ხანდაზმულობა, კომპიუტერული ტომოგრაფიით ჩაატარეს ტრავმების სასამართლო ანთროპოლოგიური ანალიზი და გენეალოგიური ხის შექმნის შემდეგ ჩატარდა დნმ ექსპერტიზა. იდენტიფიკაციის შემდგომ, დანდის უნივერსიტეტში პროფესორმა კაროლინა ვილკინსონმა თავის ქალას სამგანზომილებიანი სკანირებით, სახის კუნთებისა და კანის მოდელირებით მოახდინა რიჩარდ III-ის სახის რეკონსტრუქცია.

ამ უკანასკნელ წლებში გახშირდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ცნობილი ისტორიული პირების სახის რეკონსტრუქცია თავის ქალას სამგანზომილებიანი მოდელირებით; სულ ახლახან, 2018 წლის თებერვალში, ინტერნეტში გაჩნდა ცნობა, რომ „ახალგაზრდა ქალბატონის „მუმიის თავის ქალას სამგანზომილებიანი სკანირებით მოახდინეს ნეფერტიტის სახის რეკონსტრუქცია.

ამ საკითხს იმ მიზნით შევეხე, რომ, ვფიქრობ, მოვიდა დრო, ნიკოლოზ ბარათაშვილის თავის ქალას მიხედვით მანჩესტერის მეთოდით მოხდეს სახის რეკონსტრუქცია; არ არის საჭირო მისი თავის ქალას საზღვარგარეთ გაგზავნა – თბილისში უკვე არსებობს სამგანზომილებიანი ასლის გაკეთების საშუალება, რითაც შესაძლებელია სახის ვიზუალური გამოსახულების მიღება.

ნიკოლოზ ბარათაშვილის თავის ქალას საშუალებით სახის რეკონსტრუქციამდე საჭირო იქნება მისი ჩონჩხიდან აღებული დნმ შედარდეს მისი სისხლით ნათესავის მასალას, რაც ძნელი არ უნდა იყოს. ხაშურის რაიონის სოფელ ოსიაურში კარგად არის შენახული და მოვლილი ნიკოლოზის მამის მელიტონ ბარათაშვილის საფლავი, საიდანაც შესაძლებელია შესადარებელი ნიმუშის აღება.

ჩვენი მიზანია ნიკოლოზ ბარათაშვილის სახის რეალური პორტრეტის აღდგენა, რადგან 150 წლის ძიების მიუხედავად არ არის მიგნებული პოეტის სურათი და არ ვიცით, სინამდვილეში როგორ გამოიყურებოდა ჩვენი გენიალური მგოსანი, რომელსაც რუსთაველის შემდეგ საქართველოს მეორე პოეტს უწოდებდა აკაკი წერეთელი, ხოლო ილია ჭავჭავაძე 1893 წელს განჯიდან თბილისში პოეტის ნეშტის გადმოსვენებისას აღნიშნავდა, ასეთი პოეტი მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა ღმერთი ერს, ქვეყანას მოწყალების თვალით გადმოხედავს, რა-



ნეფერტიტის თავის ქალას სამგანზომილებიანი სკანირებით მიღებული რეკონსტრუირებული სურათი

თა ადამიანს აგრძნობინოს ღირსება და დიდება ერისა, რადგან ღირსებას და სიდიადეს ერისას ამ საწყაოთი სწყავს ადამიანიო. ეს გამორჩეულთა ხვედრია, რადგან: „**ამ მადლს, ამ ტვირთს დიდი ძალ-ღონე უნდა სულისა და ხორცისა და ამიტომაც, როცა ღმერთმა გამოგვიგზავნა ჩვენდა ნუგეშად და თავმოსაწონებლად ნიკოლოზ ბარათაშვილი, უკურთხა ენა მეტყველებისათვის, თვალნი ხედვისათვის, ყურნი სმენისათვის, გულს ჩაუდგა გაუქრობელი ცეცხლი კაცთა გულის გასათბობლად და უბრძანა „წადი და კაცთა ნათესავს, ამცნე უზენაესი მცნება ჩემი და სიტყვით გული აუნთეო“**

ანონსი
მორიგ ნომერში წაიკითხავთ:
რა არის დღემდე ცნობილი
პოეტის პორტრეტის შესახებ?

# თვალი გავუსწოროთ მომავალს

**მზარეულისშვილი თათუა, ზაზიაშვილი ნასყიდა, ნანუაშვილი ბერუა, ჯანიაშვილი დავითა, კაკუჯასშვილი პოღოზა, ჯანიასშვილი მარტიროზა, გუდიასშვილი ავეტიქა და დალაქი, ფრიდონას შვილი ასატურა.**

პროტოპოპი **ალექსი პეტრიაშვილი.**

დათიაშვილი ზურაბა, ნანუაშვილი თათუა, უსეფაშვილი ყაზარა და ავეტიქა, ნაზუქაშვილი ზაქარა, უსეფიაშვილი ნურალა, გასპარაშვილი სარიმანა და სიარუნას შვილის ობოლი ზურაბა, დეკანოზი მახარობელი, დეკანოზიშვილი კირილე, დეკანოზისშვილი სოლომონ და ფეროზას შვილის მამული.

პროტოპოპი **ალექსი პეტრიაშვილი.**

კაკუჭასშვილი ბერია და გათენას შვილი გათენა თავის ძმებით.



**დავით ახლოური:**
**საქართველოს მწერალთა კავშირის შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის ორგანიზაციის თავმჯდომარე, გორის უნივერსიტეტის პროფესორი.**

პროტოპოპი **ალექსი პეტრიაშვილი.**

როგორც ვხედავთ, გაყრის წიგნს რამდენიმეგან ხელმოწერის ჩართვით ადასტურებს ტფილისის საკეთილშობილო სასწავლებლის დირექტორი პროტოპოპი **ალექსი პეტრიაშვილი,** სიგელის ბოლოს, პეტრიაშვილთან ერთად ხელს აწერენ პოდპოლკოვნიკი თავადი **მიხაილ ერისთოვი,** პოდპოლკოვნიკი თავადი **შანშე ერისთოვი,** თავადი **სოლომონ ერისთოვი,** მაიორი, თავადი **თორნიკე ერისთოვი,** ერისთავების თხოვნით დასამტკიცებლად და შუამავლად მყოფი პოლკოვნიკი, თავადი **პეტრე ბაქარ ორბელიანოვი,** თავადი **დავით აბაშოვი** და **იოანე თურქისტანოვი.**

აღსანიშნავია ისიც, რომ ყმა-გლეხები წინააღმდეგი იყვნენ ასეთი გაყოფისა. ს. კაკაბაძე 1807 წლის ახლო პერიოდით ათარიღებს ქსნის საერისთავოში მცხოვრები ქართველების, სომხებისა და ოსების მიერ საქართველოს მმართველის გენერალ ახვერდოვის სახელზე გაგზავნილ არზას, რომელშიც საუბარია ერისთავების ძალადობასა და გლეხების მძიმე მდგომარეობაზე. რუსეთის იმპერიამ როგორც კი ერისთავებს მამულები დაუბრუნა, „**აწყეს პირველივე ჩვეულებრივი მძლავრება და უსამართლოება. ვისაც ობოლი დარჩა, გაუყიდეს; ვისაც მამა მოუკვდა და შვილი ობოლი დარჩა, მამული წაართვეს და სხვას მისცეს. საარხიმანდრიტო იკორთისა აღაოხრეს – რაც ყმა ან მამული ჰქონდა ნასყიდი სულ წაართვეს; ანუ თუ სხვათა თავადთა და აზნაურთაგან ჰქონდა რამე შეწირული, სულ წაართვეს. აგრეთვე ერთი საარხიმანდრიტო ქსანზედ მსგავს მისა აღაოხრეს. არხიმანდრიტები გამოლალეს. რამთონი აზნაურშვილნი და მოხელენი გააუზედურეს მამულისა და სახელოს წართმევითა და გლეხნი რამთონნი წაახდინეს, ამას ყოველსა ვითმენდით და ველოდით შეგონებასა მათგან და არა თუ შეიგონეს ანუ შეიკდიმეს, არამედ უფროსად და უძლიერესად მატეს მხეცებასა უწყალოებასა ჩვენ ზედა“** – ვკითხულობთ არზაში.

ამ ბრალდებებს მოსდევს საუბარი ერისთავთა მიერ გლეხების გაყოფაზე, რომელიც გაცილებით მტკივნეული და მიუღებელი აღმოჩენილა მათთვის, რადგან ასეთი გაყოფის მძიმე შედეგები არაერთი ახსოვდათ: „**მრავალს ძმა ჰყვანდა მის ჟამისაგან მკვდარი, მრავალს შვილი, მრავალს მამა და უმრავლესნი ერთმანეთის მკვლელათ და მტრათ მიმდგარი ნათესავი ნათესავსა ზედა, მოყვარე მოყვარეზე, ნათლია ნათლიაზე და მეზობელი მეზობელზე, ვიყავით ერთმანეთის შურნი და მტერნი სხ(ვ)ადასხვა ბატონყმობისაგან“.**

ვიდრე გლეხებს საჩივრის დაწერა მოუხდებოდათ, მანამდე სამჯერ მიუმართავთ ბატონებისთვის: „**შევიყარენით ერთი ან საერისთოელნი ხალხნი, მივედით და ერთიან შევსჩივლეთ და შევბღავლეთ ვითარცა ცხოვართა მწყემსთა და ბატონთა ჩვენთა და ვსთხოვეთ არა განყოფა ჩვენი“.**

ერისთავები არ ისმენდნენ ქვეშევრდომთა მუდარას და უკმაყოფილებას რუსი ხელმწიფის ბუნტში უთვლიდნენ. როგორც ვიცით, 1804 წელს მთიულეთის გლეხთა აჯანყება მოეწყო, რომელშიც ქართლის მთიანეთის უმეტესი ნაწილი მონაწილეობდა, მათ შორის ქსნის ხეობელები... ამიტომ რუსები სიფრთხილით ეკიდებოდნენ ყოველგვარ ბუნტს. ერისთავების კი მტკიცედ სჯეროდათ. საქართველოს მთავარმართებელი და ასტრახანის გენერალ-გუბერნატორი, გარუსებული **პავლე ციციანოვი** (იგი გახლდათ შვილიშვილი პაპუნა (პავლე) ციციშვილისა, რომელიც ქართლის მეფეს ვახტანგ VI-ეს რუსეთში ემიგრაციაში გაჰყვა) რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველს წერდა: „**ერისთავები იმდენად არიან ერთგულნი, რამდენადაც მე შემიძლია ვიამაყო თქვენდამი ჩემი ერთგულებით და ბუნებრივი იქნებოდა განა, რომ მას შემდეგ, რაც დაუბრუნდათ თქვენი წყალობით 4000 კომლი, მეფეთაგან ჩამორთმეული, უმადურნი დარჩენილიყვნენ? პირიქით, მხოლოდ და მხოლოდ ისინი არიან, ვისაც მე ვენდობი ისევე, როგორც ვენდობი რუსებს“.**



პავლე ციციანოვი

ციციანოვმა ერთგულების სანაცვლოდ ქსნის ერისთავებს ქართლის ტერიტორია უბოძა: როგორც ვ. ტოგონიძე წერს: – „**შანშეს, გორის მაზრის თავად-აზნაურთა მარშალს-დიდი ლიახვის ხეობა, მის ძმას თორნიკეს, ანანურის მაზრის მარშალს – არაგვის ხეობა, ელიზბარს – პატარა ლიახვი, მიხეილს კი – ქსანი“.**

სხვა რაღა დარჩენოდათ ქსნელ თავადებს, რუსებისადმი ერთგულება მთიულეთის აჯანყების დროსაც უნდა დაემტკიცებინათ. მათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს მეამბოხეთა დამარცხებაში. ამიტომაც შეეხუმრებოდნენ ხოლმე 1832 წლის ქართველ თავადაზნაურთა შეთქმულების მონაწილეს ელიზბარ შანშეს ძე ერისთავს: „**რუსები ხომ თქვენი საგვარეულოს შემოყვანილნი არიან საქართველოში, ერისთავებისაო... ის კი არ დაუთმობდათ: ჩვენი შემოყვანილნი არიან და ჩვენვე გავრეკავთო.“** (რ. ჩხეიძე)...

612 ქსნისხეობელი ქართველით შეუერთდა შანშე რუსთა მომხრეებს, თუმცა აჯანყებულებს მხარს უჭერდა ხეობის ოსური სოფლების მოსახლეობა: „ქართველები ცოტაღა დაგვრჩა, მიხეილ ერისთავის ოსებს კი სულ არ სურთ ჩვენთვის დახმარების გაწევაო“ – ატყობინებდა ვოლკონსკის რუსთა ჯარის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მაიორი მელლა.

(გაგრძელება იქნება)

# ვინ არის დიდი ბრიტანეთის ახალი პრემიერი ენდი ბერნემი?



**დიდ ბრიტანეთს ახალი პრემიერ-მინისტრი ჰყავს, 56 წლის გამოცდილი პოლიტიკოსი, მანჩესტერის ყოფილი მერი ენდი ბერნემი.**

მან ბრიტანეთის მეფისგან უკვე მიიღო ქვეყნის მართვის სიგელი და საზოგადოებას მინისტრთა ახალი კაბინეტის წევრები წარუდგინა, რომელთა უმრავლესობა ლეიბორისტული პარტიის ძველი სახეებია: შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა **შაბანა მაჰმუდმა** შეინარჩუნა. ფინანსთა მინისტრის პოსტი, ასევე, ძველი კაბინეტის წევრმა **ჯონ ჰილიმ** დაიკავა, რომელიც სტარმერის კაბინეტში თავდაცვის მინისტრი იყო და, პროტესტის ნიშნად, თანამდებობიდან გადადგა. **ჯონ ჰილის** კირ სტარმერთან თავდაცვის ბიუჯეტის გაზრდის თაობაზე ჰქონდა უთანხმოება. ახლა უკვე მისი დრო დადგა, როცა ქვეყნის ბიუჯეტის მართვის სადავეები ჩაიბარა. ბრიტანელ ხალხს ყველაზე მეტად საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრების პოსტზე ორი ცნობილი პოლიტიკოსის დანიშვნა გაუკვირდა. საგარეო საქმეთა მინისტრი ლეიბორისტული პარტიის ყოფილი ლიდერი **ედ მილიბენდი** გახდა, რომელიც სტარმერის კაბინეტში ენერგეტიკის მინისტრი იყო.

ის ბრიტანეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის **დევიდ მილიბენდის ძმაა,** რომელიც პრემიერ-მინისტრ გორდონ ბრაუნის კაბინეტში მსახურობდა. ახალი საგარეო საქმეთა მინსტრი, ერთ დროს, ლეიბორისტულ პარტიას ხელმძღვანელობდა, თუმცა, ძალიან წარუმატებლად. ის, ასევე, პროპალესტინური და ანტიამერიკული რიტორიკითაა ცნობილი. ტრამპის ადმინისტრაციის ოფიციალურმა პირებმა, უკვე, გამოთქვეს უკმაყოფილება ედ მილიბენდის ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის გამო.

რაც შეეხება თავდაცვის მინისტრის პოსტს! მას კირ სტარმერის დიდი მოწინააღმდეგე, ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი **უესტ სტრიტინგი** დაიკავებს. ეს ის კაცია, ვინც მთელი ლეიბორისტული პარტია აუბუნტა სტარმერს და, ვინძლო, თანამდებობაც დააკარგვინა.

ზოგადად კი, ბრიტანეთის ახალი პრემიერის, ენდი ბერნემის საგარეო და შიდა პოლიტიკას ძველი წახნაგებიც აქვს და ახალი მიმართულებებიც. უფრო ზუსტად, საგარეო პოლიტიკაში, ენდი ბერნემი სტარმერის გზას მიჰყვება, კერძოდ, ევროკავშირთან დაახლოებას, ტრანსატლანტიკურ სტრუქტურებთან და ნატოსთან ურთიერთობის გაღრმავებასა და უკრაინის მხარდაჭერას განაგრძობს. როგორც მან განაცხადა, პირველი საგარეო ზარები სამ ლიდერთან განახორციელა: ტრამპთან, ურსულა ფონ დერ ლაიენთან და ზელენსკისთან. ენდი ბერნემს საგარეო პოლიტიკაში ბევრი გამოწვევა ელოდება, მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი, დონალდ ტრამპთან ურთიერთობის გამოსწორება, უპირველეს ყოვლისა, ჩაგოსის კუნძულებთან დაკავშირებული კონფლიქტის ნეიტრალიზაციაა.

როგორც ცნობლია, ბრიტანეთს სურს, ჩაგოსის კუნძულები მავრიკის სახელმწიფოს დაუბრუნოს. ტრამპი კი, ამის წინააღმდეგია, რადგან ამ კუნძულზე ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამხედრო ბაზაა განლაგებული.

ბრიტანეთის ახალი პრემიერ-მინისტრი დიდ ცვლილებებს აცხადებს შიდა პოლიტიკაში, კერძოდ, ეკონომიკაში. ამ პოლიტიკურ მიმართულებას მან მანჩესტერიზმი უწოდა, რაც იმ რწმენას ეფუძნება, რომ ბრიტანეთის მთავარი პრობლემა მის გაბერილ ცენტრალიზაციაშია, რამაც ქვეყნის რეგიონებს ეკონომიკური ინვესტიციები და პოლიტიკური ძალაუფლება დააკარგვინა. შესაბამისად, ენდი ბერნემი ქვეყნის დეცენტრალიზაციასა და რეინდუსტრიალიზაციას აძლევს უპირატესობას. მან პირობა დადო, რომ ქვეყანას 2008 წელს დაწყებული ფინანსური კრიზისიდან გამოიყვანს და ეკონომიკის დაბალ მაჩვენებლებს ბოლოს მოუღებს, რასაც სახელმწიფო და კერძო კაპიტალის რაციონალური გამოყენებით, ტრანსპორტის, საბინაო და ინფრასტრუქტურის განვითარებითა და ინვესტიციების განხორციელებით მოახერხებს.

მას სურს, რომ ქალაქი მანჩესტერი ქვეყნის მეორე ცენტრი გახდეს. უმნიშვნელოვანესია ისიც, რომ ბერნემმა ნაბიჯები გადადგა ბაზრების დასამშვიდებლად, რომელიც შეშფოთებული იყო ყოფილი პრემიერ-მინისტრის ლიზ ტრასის 2022 წლის სექტემბრის ეგრეთწოდებული მინი-ბიუჯეტის გამოგონებით, რამაც ობლიგაციების მფლობელები შეაშინა გადასახადების შემცირებით მათი დაფარვის კონკრეტული გეგმის გარეშე.

**ახალმა პრემიერმა კიდევ ერთხელ დაადასტურა მთავრობის არსებული სესხების ლიმიტები და პირობა დადო, რომ ფისკალურ დისციპლინას განამტკიცებს და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებს შეამცირებს. მე შემიძლია, ხალხს ახლავე მივცე ამოსუნთქვის საშუალება და ცხოვრების ყოველდღიური ხარჯების შემსუბუქებაში დავეხმარო, განაცხადა ბერნემმა და დასძინა: სულ მალე, გავცემ პირველ განკარგულებას ჩვენს ქვეყანაში უსახლკარობისა და ქუჩაში ძილის პრობლემის დასრულების შესახებ. ბრიტანული მედიის რეაქცია კი, ახალი პრემიერის ამ სიტყვებზე, სულ მცირე, სკეპტიკური იყო. ასე თქვეს, დაპირება ერთია და შესრულება მეორეო.**




# იენს შპანი სუროგატ „შვილს“ შეეწირა!

**გერმანიაში პოლიტიკური სკანდალი აგორდა, რომელმაც ცნობილი გერმანელი პოლიტიკოსის კარიერა შეიწირა და საზოგადოებაში ფართო დისკუსია გამოიწვია. საქმე ეხება სუროგაციის გზით შვილის ყოლას.**

გერმანიაში, სუროგაცია კანონითაა აკრძალული და სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით ისჯება. ამიტომ, ბევრი გერმანელი წყვილი სუროგაციის გზებს საზღვარგარეთ ეძებს. სკანდალში გერმანიის მმართველი პოლიტიკური ძალის წევრი **იენს შპანი** გაეხვია, რომელიც ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი გამორჩეული პოლიტიკოსია. იგი გერმანიის პარლამენტში, მმართველი პარტიის ფრაქციის ლიდერი იყო. მანამდე კი, ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრის პოსტი ეკავა.

იენს შპანი ღია ჰომოსექსუალია და მას ოფიციალური პარტნიორი ჰყავს. როგორც გერმანიის მასმედიამ გაარკვია, წყვილმა სუროგაციის მეთოდით გაჩენილი ბავშვი იშვილა. სწორედ, ამ ფაქტმა გამოიწვია სკანდალი. საზოგადოება უკმაყოფილოა იმით, რომ შპანმა კანონის ავლით იმოქმედა, მითუმეტეს, რომ ის, წარსულში, თავად აკრიტიკებდა ასეთ პრაქტიკას და ამბობდა რომ, როგორც ქრისტიანსა და გეი მამაკაცს, საშვილოსნოს დაქირავების იდეის მიღება უჭირს. მან პარტიულ ხაზს დაუჭირა მხარი და გერმანიაში სუროგაციის აკრძალვის სასარგებლოდ მისცა ხმა. საზოგადოებამ შპანი ფარისევლობაში დაადანაშაულა.

პოლიტიკოსები, რომლებიც სხვებისთვის ადგენენ სტანდარტებს, თავადაც ამ სტანდარტებით უნდა შეფასდნენ. თუ ნდობა დაკარგულია, გადადგომა ერთადერთი ლოგიკური შედეგია – ასე გამოეხმაურა აგორებულ სკანდალს ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ერთი წევრი. მოგვიანებით, საზოგადოების ზეწოლის გამო, შპანმა ყველა თანამდებობა დატოვა. მისი გადადგომა გერმანიის კანცლერმა ფრიდრიხ მერცმა მოითხოვა, რომლის განცხადებით, ახლა, ბავარიის ქრისტიან-სოციალური კავშირის ლიდერთან მარკუს ზოდერთან ერთად, ბუნდესტაგში კონსერვატული ბლოკის ახალი საპარლამენტო ლიდერის კანდიდატურაზე მუშაობს. საზოგადოებაში, სკანდალს ფართო დისკუსია მოჰყვა. ხალხის ერთი ნაწილი სუროგაციის ლეგალიზაციას ითხოვს, მეორე ნაწილი კი, კიდევ უფრო გამკაცრებას. ისინი იტალიის კანონის გადაწერას ითხოვენ.

**იტალიაში არა მხოლოდ აკრძალულია სუროგაცია, არამედ, იტალიის ის მოქალაქეც ისჯება, რომელიც, საზღვარგარეთ სუროგაციის მეშვეობით აიყვანს ბავშვს. გერმანიის ფედერალურ მთავრობას ამის გაკეთება არ სურს, რადგან, ფაქტების გამოძიება, ძირითადად, საზღვარგარეთ უნდა ჩატარდეს, რაც მნიშვნელოვან სირთულეებთანაა დაკავშირებული.**



**ნუგზარ ბ. რუხაძე**
**POSTV**

# ვიქტორ ორბანის მმართველობის პერიოდში, სავარაუდოდ, უკანონოდ მითვისებული სახელმწიფო სახსრები დაბრუნდება?

**უნგრეთში ახალი სააგენტო შეიქმნება, რომლის მთავარი ამოცანა უკანონოდ მითვისებული სახელმწიფო სახსრების დაბრუნება იქნება, პირველ რიგში კი იმ თანხების, რომლებიც ვიქტორ ორბანის 16-წლიანი მმართველობის პერიოდში, სავარაუდოდ, უკანონოდ იქნა მითვისებული,** □ ამის შესახებ ინფორმაციას □**ბლუმბერგი**□ავრცელებს.

ქვეყნის პარლამენტმა კენჭისყრით უკვე დაამტკიცა ეროვნული აქტივების აღდგენის სააგენტოს შექმნა. ეს პრემიერ-მინისტრ პეტერ მადიარის ერთ-ერთი მთავარი ანტიკორუფციული დაპირება იყო, რომლის შესახებაც მან აპრილში არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ისაუბრა.

**□ბლუმბერგის□ცნობით, ვიქტორ ორბანის მმართველობის პერიოდში უნგრეთი □საერთაშორისო გამჭვირვალობის□კორუფციის აღქმის ინდექსში ევროკავშირის ქვეყნებს შორის ბოლო ადგილზე აღმოჩნდა, რის გამოც**



**ევროკავშირმა კორუფციასთან დაკავშირებული შეშფოთების გამო მილიარდობით ევროს დაფინანსება შეაჩერა.**

მედიის ცნობით, ევროპის სხვა ქვეყნების ანტიკორუფციული უწყებებისგან განსხვავებით, უნგრეთის ახალ სააგენტოს ისეთი უფლებამოსილებები ექნება, რომლებიც, როგორც წესი, პროკურატურას, პოლიციას, ფინანსურ საგამოძიებო ორგანოებსა და სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტებს შორის არის გადანაწილებული.

**ომის დროს ერთ-ერთი პირველი, რაც ინგრევა ეროვნული სულია. ომის საშინელებების ფონზე, წუთიერმა ემოციებმა შესაძლოა, სრულიად გადაფაროს ის ღირებულებები, რომელთა დაცვასაც ვცდილობთ. ხოლო როდესაც ეროვნულ სულზე ზრუნვას სახელმწიფოს ვანდობთ - ინსტიტუციას, რომელსაც ეკონომისტმა მარი როთბარდმა „ქურდობის ორგანიზებული სისტემა“ უწოდა — ასპარეზზე უფრო „მიმზიდველი“ გეგმები გამოდის. ეს გეგმები კი ხშირად პირდაპირ აზიანებს მოქალაქეებს, რადგან სახელმწიფო თავისი არსით აგრესიისკენ, ქურდობისა და იძულებისკენ არის მიდრეკილი.**

**მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა ერის სულზე ნაკლებად ზრუნავს, ეს სული მაინც რჩება ერთიანი ქვეყნის მთავარ საყრდენად. სწორედ იგი განსაზღვრავს იმ ფასეულობებს, რომლებითაც ჩვენმა ქვეყანამ მსოფლიოს წინაშე თავი უნდა მოიწონოს.**

# ტრამპის ომი და ამერიკელთა ეროვნული სულის რღვევა

## „ეროვნული სული“

**ეს იდეა ახალი არ არის. 1988 წელს, ერისადმი გამოსამშვიდობებელ მიმართვაში, რონალდ რეიგანმა ამერიკას „მთაზე აღმართული წმინდა ქალაქი“ უწოდა. მან თქვა, რომ სწორედ საკუთარი მოქალაქეების თავისუფლებაზე ზრუნვამ აქცია ამერიკა მთელი მსოფლიოს მისაბაძ მაგალითად.**

ბევრს უსაუბრია იმაზეც, რა საფრთხე მოჰყვება ეროვნული სულის დაკარგვას. ირანში ომის ესკალაციისა და დონალდ ტრამპის სულ უფრო შემაშფოთებელი განცხადებებისა თუ ქმედებების ფონზე, ჯონ ქინსი ადამსის მიერ 1821 წლის დამოუკიდებლობის დღეს წარმოთქმული ცნობილი სიტყვა მახსენდება. ამ გამოსვლაში მან ბრწყინვალედ ახსნა, რა საფრთხეს შეიცავს მსოფლიო კონფლიქტების ქსელში გაბმა და საკუთარი ხალხის თავისუფლების უგულებელყოფა:

**„სადაც კი აღიმართება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დროშა, ამერიკის გული და კურთხევაც ყოველთვის იქვე იქნება. თუმცა, იგი უცხოეთში მონსტრების საძებნელად არ მიემგზავრება. იგი ყველას თავისუფლების გულშემატკივარია, თუმცა დამცველი — მხოლოდ საკუთარისა. მან კარგად იცის, რომ თუ ერთხელ მაინც ჩადგება უცხო დროშის ქვეშ — თუნდაც ეს უცხო ქვეყნის დამოუკიდებლობის დროშა იყოს — იგი დაუსრულებელი ინტერესების, ინტრიგების, სიხარბისა და ამბიციების ომებში გაებმება, რომლებიც თავისუფლების ფერებით ინიღბებიან. მისი პოლიტიკა შეუმჩნევლად შეიცვლება და თავისუფლებიდან ძალადობისკენ წავა. მის შუბლს აღარ გაანათებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ბრწყინვალება; მას მალე ჩაანაცვლებს იმპერიული გვირგვინი, რომელიც ბატონობისა და ძალაუფლების ბნელი, ყალბი ელვარებით იბრწყინებს. იგი შესაძლოა, მსოფლიოს დიქტატორად იქცეს, თუმცა საკუთარი სულის მბრძანებელი აღარ იქნება“**

ადამსის გაფრთხილება ძალიან ზუსტია. თუ ჩვენი ერი თავისუფლების წახალისების ნაცვლად, მსოფლიოში ძალასა და ომს გაიტანს, ამით ჩვენივე სული დაზიანდება. ეს გაფრთხილება, სამწუხაროდ, არავინ გაითვალისწინა — განსაკუთრებით მათ, ვის ხელშიც ძალაუფლებაა. საკუთარ ქვეყანაში თავისუფლების განმტკიცების ნაცვლად, აშშ-ის ფედერალურმა მთავრობამ გადაწყვიტა, რომ მსოფლიოზე გავლენის საუკეთესო იარაღი სამხედრო ძალაა.

## აგრესიის გზაზე

**აშშ-ის მთავრობა ათწლეულებია, უწყვეტ სამხედრო კონფლიქტებშია ჩაბმული, მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ ამერიკის უსაფრთხოებას დიდი საფრთხე არ ემუქრებოდა.**

ეს ომები არა მხოლოდ ხელს უშლიდა თავისუფლების გავრცელებას, არამედ მათი წყალობით რესპუბლიკის რღვევის გზაზე იმდენად შორს წავედით, რომ ყოველგვარი თავდაპირველი საზაზიც კი დავივიწყეთ. ახლა, იმის ნაცვლად, რომ უცხოელი ხალხის ბოროტი დიქტატორებისგან გათავისუფლების შესახებ მოწოდებებს ვისმენდეთ, აღდგომის დილას პრეზიდენტის ასეთ საზარელ პოსტებს ვკითხულობთ სოციალურ ქსელში:

**„სამშაბათი ირანში ელექტროსადგურებისა და ხიდების დღე იქნება — ყველაფერი ერთად! ასეთი არაფერი გინახავთ!!! გახსენით ეს სრუტე, გიჟო ნაძირალებო, თორემ ჯოჯოხეთში იცხოვრებთ — უბრალოდ ნახეთ! დიდება ალაჰს. პრეზიდენტი დონალდ ჯ. ტრამპი“**

მიუხედავად იმისა, რომ ტრამპს ეს მუქარა სისრულეში არ მოუყვანია, იგი ელემენტარული ჰუმანურობის ნაკლებობაზე მეტყველებს. ჩვეული უპასუხისმგებლობით, პრეზიდენტმა არად ჩააგდო ის ფაქტი, რომ იგი მსოფლიოს ელაპარაკება ასობით მილიონი ამერიკელის (მათ შორის მილიონობით ბავშვის) სახელით, რომელთაც არანაირი სურვილი არა აქვთ, უცხო რელიგიურ ომში გაებან.

ირანთან მთელი ეს ომი ადამიანის სიცოცხლისა და ელემენტარული მორალისადმი სწორედ ასეთი უგულებელყოფით ყარს. შოკისმომგვრელი იყო არა მხოლოდ განცხადებები, არამედ უშუალოდ ქმედებებიც. 2026 წლის 28 თებერვალს, ირანის წინააღმდეგ აშშ-ის და ისრაელის ერთობლივი სამხედრო ოპერაციის პირველივე დღეს, ამერიკამ დაწყებით სკოლას დაარტყა მინაბში, სადაც 100-ზე მეტი მოსწავლე გოგონა დაიღუპა. თუმცა, ამერიკის მთავრობას ამ ფაქტზე პასუხისმგებლობა არ აუღია.

სინამდვილეში, ოფიციალური „გამოძიება“ — რასაც პენტაგონის ხელმძღვანელი პიტ ჰეგსეთი ეფარებოდა, როცა ამ დარტყმაზე ეკითხებოდნენ — თვეების შემდეგაც თითქოს კვლავ „მიმდინარეობს“. 2026 წლის 16 ივლისს CNN იუწყებოდა, რომ აშშ-ის სამხედრო უწყებას ამ ავიაიერიშთან დაკავშირებული სადაზვერვო მონაცემების სტანდარტული შემოწმებაც კი არ ჩაუტარებია.

მინდა, მჯეროდეს (და ახლაც მჯერა), რომ ეს საშინელი შეცდომა იყო. თუმცა, საბოლოო დასკვნას ვერ გამოვიტანთ, სანამ აშშ-ის მთავრობა არ განმარტავს, რა მოხდა სინამდვილეში. ეს უბედური შემთხვევა იყო? თუ ასეა, ნებისმიერმა ადამიანმა, ვისაც ჰუმანურობის ნატამალი მაინც შერჩენია, ბოდიში მოხდა უნდა მოითხოვოს. უგუნურებაზე მეტია, აცხადებდე, რომ ხალხს წარმოადგენ და ამავდროულად, მათ სახელით ჩადიოდე ასეთ საშინელებებს, სინანულის იოტისოდენა მარცვლის გარეშე.



## კორუფცია Truth Social-ზე

**იმპერიალისტურმა პოლიტიკამ მსოფლიოში ამერიკის მორალური ავტორიტეტი შეარყია. ეს ბოლო 25 წლის განმავლობაშიც ნათლად გამოჩნდა, როდესაც აშშ-ის საგარეო ავანტიურებს მილიონობით ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა და ქვეყნები განადგურდა.**

ეს რღვევა სტრატეგიულ დონეზეც აშკარაა: ირანთან მიმდინარე ომში ვხედავთ, რომ აშშ-ს უჭირს რაიმე ხელშესახები სამხედრო წარმატების მიღწევა. ამერიკას თავდაცვითი შეიარაღების კრიტიკული დეფიციტი აქვს; ომს არ მიუღწევია არც ერთი თავდაპირველი მიზნისთვის, ხოლო ჰორმუზის სრუტის გახსნის უუნარობის გამო, მსოფლიო ენერგორესურსების 20% გლობალურ ბაზარს მიღმა დარჩა.

შედეგად, ამერიკელებმა ენერგეტიკული კრიზისი საკუთარ ჯიბეზე იგრძნეს. ნავთობის მიწოდების შემცირებამ საწვავი გააძვირა, ხოლო აშშ-ის ნავთობის სტრატეგიული რეზერვი კრიტიკულად დაბალ ნიშნულზეა.

ეს ყველაფერი სრულიად პროგნოზირებადი იყო. 21-ე საუკუნის სხვა ომების მაგალითზეც ნათლად ჩანს, რომ ომის დასაფინანსებლად დაბეჭდილი ფული ინფლაციასა და ფასების ზრდას იწვევს და პირდაპირ აზარალებს მოქალაქეებს - ჩვენი დოლარის მსყიდველობითი უნარი უბრალოდ მცირდება. ამას ემატება მორალური ზიანიც: სოციალური ქსელები აავსო პრეზიდენტის აგრესიულმა პოსტებმა, დაბომბილი უბნების კადრებმა და ირანის ცამ, სადაც ენერგოინფრასტრუქტურაზე თავდასხმების გამო ნავთობის წვიმა მოდის.

პრეზიდენტის პოსტები Truth Social-ზე ამერიკული სულის კიდევ ერთ დაცემაზე მეტყველებს. ტრამპის პოსტები თეთრი სახლის ოფიციალურ განცხადებებად იქცა და მათ წამიერად შეუძლიათ ფინანსური ბაზრების მკვეთრი რყევების გამოწვევა. კიდევ უფრო შორს რომ წავიდეთ: Truth Social (რომელსაც Trump Media ფლობს) ახლა მომხმარებლებს ფასიან მომსახურებას სთავაზობს პრეზიდენტის პოსტებზე სწრაფი წვდომისთვის.

ეს პროგრამა, რომელიც Truth API-ს სახელითაა ცნობილი, თავის მომხმარებლებს წინასწარ მიაწვდის ინფორმაციას პრეზიდენტ ტრამპის იმ განცხადებების შესახებ, რომლებიც ბაზარს ცვლის. ეს მათ საშუალებას მისცემს, იშოვონ ფული მანამ, სანამ ეს ხალხისთვის გახდება ცნობილი. ტრამპის ოჯახი Trump Media-ს მსხვილი აქციონერია, ხოლო თავად დონალდ ტრამპი კომპანიის 41%-ს ფლობს.

ეს პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს იმას, რომ უოლ-სტრიტის მილიონერები ფულს გადაუხდიან დონალდ ტრამპსა და მის ოჯახს იმისთვის, რომ წინასწარ იცოდნენ მისი განცხადებები. ჩვენ ვსაუბრობთ კორუფციისა და სიხარბის ისეთ მასშტაბებზე, რაც თანამედროვე ისტორიაში უპრეცედენტოა. ეს ამაზრზენია და გაუგებარია, როგორ შეიძლება ტრამპის ყველაზე ერთგულმა მხარდამჭერმაც კი გაამართლოს ეს.

## დარღვეული სული

**ეს დაშლის პირას მყოფი იმპერიის სტილია. როცა სისტემა იშლება, ყველა ცდილობს, რაც შეიძლება მეტი წაჰგლიჯოს მას. საბოლოოდ, ისინი მდიდრები რჩებიან, მაგრამ ქვეყანა მათ გარშემო ინგრევა. ასევე, უზნეო ადამიანებიც ვერ ამჩნევენ იმ სიბნელეს, რაც მათ ქცევას მოჰყვება. ჩვენ კი მარტო დავრჩებით გაუფასურებულ ფულთან და ეროვნული სულის მორღვეულ განცდასთან.**

**რატომ უნდა მივცეთ უფლება ამ ადამიანებს, რომ შეუქცევადი ზიანი მიაყენონ ჩვენი წინაპრების ქვეყანას? თავისუფლების იდეა არ მომკვდარა, ხოლო პროტესტი უაზრო ომების მიმართ ამერიკაში კვლავ იზრდება.**

**თუ გვინდა, ამერიკა კვლავ ბრწყინვალე ქვეყანა გახდეს, რომელსაც მსოფლიო მიჰბაძავს, ისეთი ლიდერები უნდა ავირჩიოთ, რომლებსაც ესმით მთავარი საკითხი: ან კონსტიტუციური რესპუბლიკა უნდა იყო, ან მსოფლიო იმპერია, მაგრამ ერთდროულად ორივე ვერ ვიქნებით!..**

***წყარო: https://original.antiwar.com/nolan_denaro/2026/07/19/trumps-war-and-the-decay-of-the-american-soul/?utm_source=rss&utm_medium=rss&utm_campaign=trumps-war-and-the-decay-of-the-american-soul***

ოკუპირებული აფხაზეთი სახელდება ერთ-ერთ მთავარ ტურისტულ მიმართულებად, რომელსაც მეტი რუსი ტურისტი ეტანება მას შემდეგ, რაც ისინი დასვენებას ვეღარ ბედავენ უკრაინული დრონების თავდასხმებით შევიწროებულ ყირიმში.

17 ივლისს გავრცელებული ინფორმაციით, პირველი პირდაპირი ავიარეისი შესრულდა სანქტ-პეტერბურგიდან სოხუმში — თვითმფრინავი სოხუმში ერთი წლის წინ უკანონოდ ამოქმედებულმა აეროპორტმა მიიღო.



რუს ტურისტებს ყირიმში ჩასვლა ეშინიათ და ჯავშნები ოკუპირებულ აფხაზეთში გადააქვთ. საილუსტრაციო ფოტო არქივიდან - სოხუმი, 2024 წელი.

## ახალი ავიარეისები და რუსი ტურისტების ნაკადის ზრდა ოკუპირებულ აფხაზეთში, ყირიმის ხარჯზე

# აფხაზეთი უფრო დაგვიახლოვდა!

**„აფხაზეთი უფრო დაგვიახლოვდა“, „სოხუმი გელოდებათ“,** — წერს რუსეთის მედია.

წერენ ასევე, რომ 100%-ით სავსე იყო **Nordwind Airlines**-ის ბოინგი, რომელმაც, 17 ივლისს, პულკოვოს აეროპორტიდან სოხუმისკენ აიღო გეზი. ამიერიდან ეს ფრენაც რეგულარული იქნება – ორშაბათს და პარასკევს. თვითმფრინავში 189 მგზავრი ეტევა. ფრენის ხანგრძლივობა 4 საათი და 35 წუთია.

**„ახალი მარშრუტი პეტერბურგელ ტურისტებს აფხაზეთის შავი ზღვის სანაპიროსთან პირდაპირი წვდომის შესაძლებლობას აძლევს“** — წერს **„ფედერალ პრესი“**.

მანამდე, 9 ივლისს, გავრცელდა ცნობა – ავიაკომპანია **„Руслайн“**-ის მიერ შესრულებული პირველი ავიარეისის შესახებ ორენბურგიდან (სამხრეთ ურალისპირეთი) სოხუმში. განრიგის თანახმად, ეს რეისები კვირაში ერთხელ შესრულდება 50-ადგილიანი **Bombardier**-ით. ამ ეტაპზე, რუსეთიდან ოკუპირებულ აფხაზეთში არაერთი ავიარეისი სრულდება: მოსკოვიდან, ყაზანიდან, ნოვგოროდიდან, უფადან თუ ნალჩიკიდან. მომავალში განრიგის კიდევ უფრო გაფართოებას ელოდებიან.

* * *

**2026 წლის აპრილში, პარლამენტში ინტერპელაციის წესით დაბარებულმა მაკა ბოჭორიშვილმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა, განაცხადა, რომ – სოხუმის აეროპორტთან დაკავშირებით სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციას 2025 წლის 20 თებერვალს გაეგზავნა შესაბამისი ნოტა „სადაც აღნიშნულია, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში საქართველოს მთავრობის ნებართვის გარეშე განხორციელებული ფრენები უკანონო და ხორციელდება საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით“.**

რეგულარული სამგზავრო ავიამიმოსვლა რუსეთმა ოკუპირებულ სოხუმში 2025 წლის 1 მაისიდან დაიწყო. თვითმფრინავები სხდებიან სოხუმიდან 18 კილომეტრში მდებარე აეროპორტში, რომელიც 1950-იან წლებში ააშენეს, მაგრამ 1993 წლიდან დახურული იყო, 1990-იანი წლების საომარი მოქმედებების კვალდაკვალ.

საქართველოს ხელისუფლების მიმართვის საფუძველზე, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციას სოხუმის აეროპორტის კოდი ანულირებული აქვს. თუმცა მას კოდი თავად რუსეთმა მიანიჭა და ფრენებიც მხოლოდ რუსეთის ქალაქების მიმართულებით დასავლეთის მიერ სანქცირებული ავიაკომპანიების მიერ ხორციელდება.

რუსეთის ტუროპერატორების ასოციაციის თანახმად, **Nordwind Airlines**-ის ავიარეისების დამატება, სოხუმის აეროპორტში რუსი ტურისტების ნაკადს, სულ მცირე, მეოთხედით გაზრდის; ხოლო საჰაერო მიმოსვლის მნიშვნელოვანი გაფართოება აფხაზეთს 85%-მდე ახალ ავიატურისტს შესძენს.

რეისების მომრავლების მიუხედავად, საავიაციო ტრანსპორტს ოკუპირებულ აფხაზეთში რუსი ტურისტების მიღების არა ძირითად საშუალებად თვლიან. მას შემდეგ, რაც, უკრაინული დრონების შეტევების გამო, მუშაობის გაჩერება საკმაოდ ხშირად უწევს – სოჭის აეროპორტს, ოკუპირებულ აფხაზეთში ტურისტებს ძირითადად სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტით ჩადიან. თუმცა შემაფერხებელი ფაქტორები აქაც არის.

რუსეთის მედია აღნიშნავს, რომ გარანტირებული სიმშვიდე ტურისტებს არც აფხაზეთში აქვთ. **„თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, ახლა აფხაზეთში დრონების საფრთხეა გამოცხადებული“** – წერდა 11 ივლისს **„Осторожно, новости“**.

დაცარიელებული ყირიმის ხარჯზე ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით, რუსი ტურისტების მოთხოვნის ზრდას არაერთი რუსი ტუროპერატორი აღნიშნავს. კომპანია „მულტიტურის“ გენერალური დირექტორის მოადგილემ **ევგენია კიზეიმ** ჯერ კიდევ ივნისის ბოლოს შენიშნა ტენდენცია, რომ – ყირიმის მიმართულებიდან ჯავშნების გადატანა ოკუპირებული აფხაზეთის კურორტებისკენ ხდება.

რუსულენოვან წყაროებში ვხვდებით, ოკუპირებული აფხაზეთისკენ რუსი ტურისტების ნაკადის ზრდის კიდევ ერთ მიზეზს და ეს – უკრაინასთან ომის ფონზე, რუსეთის მოქალაქეების ეკონომიკურ შესაძლებლობების გაუარესებაა. აფხაზეთი რუსი ტურისტებისთვის იაფია, მიუხედავად იმისა, რომ – მუდმივად უჩივიან ცუდ მომსახურებასა თუ კრიმინალს.

**„კომერსანტის თანახმად, ახლო აღმოსავლეთის (ომის გამო) ჩაკეტვის გამო, ტუროპერატორებსა და აგენტებს კლიენტებისთვის გაყიდული ტურების საფასურის დაბრუნება მოუწიათ; ჯამში, ეს თანხა 19 მილიარდზე მეტ რუბლს შეადგენდა (დაახლოებით 243 მილიონი დოლარი). „მოგვიანებით, პრობლემად იქცა უკვე სოჭსა და ყირიმში გაუქმებული მოგზაურობების თანხების დაბრუნებაც“,** — წერს გამოცემა.

**ლელა კუნჭულია,**
**„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი.**

# ომის გაჭიანურების პარალელურად, უკრაინის მოსახლეობა კოლაფსს განიცდის!

**უკრაინაში თითქმის ხუთწლიანი ომის პარალელურად, სიკვდილიანობა შობადობას თითქმის ოთხი ერთზე თანაფარდობით აღემატება.**

**უკრაინის იუსტიციის სამინისტროს მიერ ამ კვირაში გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, 2026 წლის პირველ ნახევარში უკრაინაში 73 292 დაბადება და 259 853 გარდაცვალება დადასტურდა.**

ეს იმას ნიშნავს, რომ უკრაინაში თვეში დაახლოებით 12 000 დაბადება აღირიცხება, რაც მკვეთრი შემცირებაა ომის დაწყებამდე თვეში დაახლოებით 23 000 დაბადებასთან შედარებით.

შობადობის მაჩვენებელი შესამჩნევად დაბალი იყო უკრაინის დონეცკის რეგიონში, რომელიც ომის ფრონტის ხაზზე მდებარეობს და ამჟამად ძირითადად რუსეთის მიერ არის ოკუპირებული. 2026 წლის პირველ ნახევარში იქ მხოლოდ 134 დაბადება დაფიქსირდა.

**„ცოტა ადამიანია მზად, შვილები გააჩინოს, სანამ ქვეყანა ომშია“** – წერს X-ზე რუსეთ-უკრაინის ომის საკითხებზე სპეციალიზებული მეცნიერი **მარტა ჰავრიშკო. „ომის ყოველი დამატებითი წელი აღრმავებს დემოგრაფიულ კრიზისს და უკრაინას დაცარიელებულ მიწად აქცევს“**

ამასთანავე, ომმა მილიონობით უკრაინელს უბიძგა, საზღვარგარეთ წასულიყვნენ საცხოვრებლად.

**„მე არ მგონია, რომ ევროპა ან უკრაინის სხვა მხარდამჭერები შეძლებენ ომის შემდგომ რეკონსტრუქციაში ისეთი მასშტაბური ფინანსური ინვესტიციების მოზიდვას (...), რაც მილიონობით უკრაინელს საშუალებას მისცემს, სახლში დაბრუნდნენ“** – განუცხადა ჩვენს გამოცემას კუინსის ინსტიტუტის მკვლევარმა **ალმუტ როჩოვანსკიმ.**



**„უკრაინელმა ლტოლვილებმა საზღვარგარეთ უნდა იცოდნენ, რომ ისინი სახლში ბრუნდებიან ფუნქციონალურ საცხოვრებელში, სკოლებში და საავადმყოფოებში საკმარისი შემოსავლით“** – თქვა **როჩოვანსკიმ,** – **„ეს კი რთული ამოცანაა“**

მოსახლეობის ახალი მაჩვენებლები იმ დროს გავრცელდა, როდესაც უფრო ნაკლები უკრაინელი გამოხატავს ბრძოლის სურვილს. ამ თვის დასაწყისში, ქალაქ ლვოვში სამხედრო სამსახურთან დაკავშირებული საპროტესტო აქციები გაიმართა. ქვეყნის ყოფილი თავდაცვის მინისტრის თქმით, უკრაინაში ასევე დაახლოებით ორი მილიონი სამხედრო მოსამსახურეა, რომელიც ომს თავს არიდებს და დაახლოებით 200 000 სამხედრო დეზერტირია. გასულ წელს ჩატარებული გამოკითხვის შესაბამისად, **Gallup**-მა დაადგინა, რომ უკრაინელების მხარდაჭერა ბრძოლის გაგრძელების მიმართ დაბალი რჩება. გამოკითხულთა მხოლოდ 24%-მა უთხრა **Gallup**-ს, რომ უკრაინამ უნდა გააგრძელოს ბრძოლა მანამ, სანამ ომს არ მოიგებს. ამის საპირისპიროდ, 66%-ს სურდა მოლაპარაკებების გზით ომის დასრულება.

**1991 წელს უკრაინაში დაახლოებით 52 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა. მაისში, უკრაინის სოციალური პოლიტიკის მინისტრმა დენის ულიუტინმა, განაცხადა, რომ ქვეყანას ამჟამად მხოლოდ 22-დან 25 მილიონამდე მცხოვრები ჰყავს.**

# მსოფლიოსა და საქართველოში გადამზიდი მძღოლების დეფიციტია!



**საავტომობილო ტრანსპორტის საერთაშორისო კავშირის (IRU) გლობალური ანგარიშის თანახმად, მთელ მსოფლიოში სატრანსპორტო კომპანიები მძღოლების კუთხით მწვავე სირთულეებზე მიუთითებენ. გამოკითხული ბაზრების უმრავლესობაში მძღოლების დეფიციტი ოპერატორების მთავარ გამოწვევად იქცა. ამ მხრივ, პრობლემებია საქართველოშიც. ადგილობრივი კადრები ქვეყნიდან გადიან და უცხოეთში ეძებენ სამუშაოს, რაც ქვეყანაში კადრების დეფიციტის გამომწვევი მიზეზი ხდება.**

**IRU-ის მკვლევრებმა დაადგინეს, რომ მძღოლების დეფიციტი ევროპაში ოპერატორების 65%-ისთვის ყველაზე აქტუალური პრობლემაა. ამ გამოწვევის პარალელურად, კომპანიები მალე ყველაზე გამოცდილი კადრების დაკარგვას დაიწყებენ, რადგან მოსალოდნელია, რომ ევროპაში მძღოლების დაახლოებით 20%, ხოლო ავსტრალიაში – 24%, მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში პენსიაზე გავა.**

სხვადასხვა რეგიონის ქვეყნების მონაცემების შეჯამებით, **2025 წლის კვლევამ აჩვენა, რომ 18 შესწავლილ ბაზარზე სატვირთო ავტომობილის მძღოლის დაახლოებით 2.9 მილიონი ვაკანსია (სამუშაო ძალის 11%) შეუვსებელი რჩება.**

**ევროპაში დეფიციტის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 13% ფიქსირდება, რაც დაახლოებით 502 000 ვაკანტურ ადგილს ნიშნავს. ამასთან, თითქმის ყველა გამოკითხულ ბაზარზე 2025 წლის დეფიციტის დონე 2021 წლის საწყის მაჩვენებელს აჭარბებს.**

აღნიშნული დეფიციტი აღარ არის მჭიდროდ დაკავშირებული მოკლევადიან ეკონომიკურ ციკლებთან. ამის ნაცვლად, წამყვან როლს ოთხი ფაქტორი ასრულებს: სამუშაო ძალის დაბერება, პროფესიაში შესვლის ბარიერები, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა და სამუშაოს მიმართ შეცვლილი მოლოდინი. კერძოდ, ახალი თაობებისთვის შორ მანძილზე მგზავრობა და მუშაობა სულ უფრო ნაკლებად მიმზიდველი ხდება.

ამ ტენდენციის მიზეზები გეოგრაფიის მიხედვით განსხვავდება. ევროპასა და ავსტრალიაში მთავარ პრობლემას დემოგრაფია წარმოადგენს. მექსიკასა და ბრაზილიაში დეფიციტის მაღალ დონეს შრომის სტრუქტურული შეზღუდვები და არასათანადოდ განვითარებული მომზადების პროგრამები განაპირობებს, ხოლო უზბეკეთსა და ჩინეთში ტვირთების გადაზიდვაზე მოთხოვნა ბევრად სწრაფად იზრდება, ვიდრე ხელმისაწვდომი მძღოლების რაოდენობა.

საქართველოში მძღოლების დეფიციტი არ არის, მაგრამ სხვა ტიპის პრობლემებია – რიგები საზღვარზე, დაბალი ანაზღაურება, მუშაობა შეღავათების გარეშე – ეს მცირე ჩამონათვალია, რომელსაც ქართველი მძღოლები ყოველდღიურად აწყდებიან და რომლის გამოც სამუშაოს საძებნელად უცხოეთში მიდიან. სწორედ ეს განაპირობებს იმას, რომ ისინი სამუშაოს საზღვარგარეთ ეძებენ. ეს კი წინაპირობაა იმისა, რომ ახლო მომავალში სატვირთოების მძღოლების დეფიციტი საქართველოს საავტომობილო გადაზიდვების ბაზარზე ნათელი იქნება.

* * *

**სატრანსპორტო კვლევის ცენტრმა გადამზიდავ კომპანიებში დასაქმებულების კომენტარებზე დაყრდნობით რამდენიმე ძირითადი საკითხი გამოყო, რომელთა მოუგვარებლობის გამო, ქართველი მძღოლი იძულებულია, დატოვოს ქვეყანა ანდაც საერთოდ დაანებოს თავი სატვირთოს მძღოლობას. ეს პრობლემებია:**

**ქვეყნის საავტომობილო გზებზე და სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე საცობები;**

**დაბალი ანაზღაურება, მოუვლელი და გაუმართავი სატრანსპორტო საშუალებები;**

**საავტომობილო გზებზე, პირველ რიგში, შემოვლით გზაზე, აჭარაში, სატრანსპორტო საშუალებების დიდი ხნით და უმიზეზოდ დაყოვნებები;**

**ძირითად საავტომობილო მაგისტრალებზე „მცხეთისა და ქობულეთის ხიდებზე დაუსრულებელი სამშენებლო სამუშაოები;**

**პოლიციის გულგრილი დამოკიდებულება, ნატახტართან, წითელი სოფლის მიმდებარედ, საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის ფუნქციონირება;**

**დამსაქმებლების მხრიდან მძღოლების შეღავათებისა და სამედიცინო დაზღვევის სისტემის არარსებობა;**

**სატრანსპორტო საშუალებების საპარკინგე ადგილებში გაუარესებული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები.**

ერთ-ერთი გადამზიდი კომპანიის ხელმძღვანელი მძღოლების გადინების პრობლემას საზღვრებზე რიგებთან და დროის დანაკარგებთან ერთად, გართულებულ პირობებში სატრანსპორტო კომპანიის ფუნქციონირების სირთულეებზე ამახვილებს ყურადღებას - სანამ საქართველოში არ მოწესრიგდება საზღვრებთან არსებული მძიმე მდგომარეობა – ტრაილერების მრავალდღიანი რიგები, გაუთავებელი ლოდინი, გაჭედილი მოძრაობა და დროის სრული დაკარგვა, სატრანსპორტო სფერო კიდევ უფრო დასუსტდება.

**„ასეთ პირობებში, ხალხი ამ საქმეს თავს დაანებებს, კომპანიები დაიხურება და პროფესიონალი კადრებიც ქვეყანას დატოვებენ. სატრანსპორტო კომპანიები ქმნიან რეალურ სამუშაო ადგილებს, იხდიან გადასახადებს, ასაქმებენ მძღოლებს, დისპეტჩერებს, მექანიკოსებსა და სხვა სპეციალისტებს. კომპანიის საქმიანობა მხოლოდ ერთი მანქანის მართვას არ ნიშნავს – მის უკან დგას დიდი პასუხისმგებლობა, მუდმივი ხარჯი და მრავალი ადამიანის შემოსავალი“** – აცხადებს კომპანიის წარმომადგენელი.

ერთ-ერთი მძღოლი მძღოლების გადინების მიზეზად ქართულ კომპანიებში დაბალ ხელფასსა და შეღავათების არარსებობასაც ასახელებს.

**„სამ წელზე მეტი ვიმუშავე ერთ ქართულ კომპანიაში. ფასიანი კი არა, უფასო შეღავათებიც არ მქონია. უფროსობას რომ ვუთხარი შეღავათებისა და ხელფასის მომატების შესახებ, არც იოცნებოთ მაგაზეო. მეც ავდექი და 2017 წლიდან, ევროპაში წამოვედი სამუშაოდ. მას მერე აქ ვმუშაობ დღემდე. ჩემს დღეში ათასობით ქართველი მძღოლია. მალე საქართველოში სატვირთო მანქანის მძღოლი საძებარი გახდება“** – აღნიშნულია სატრანსპორტო კვლევის ცენტრის გავრცელებულ ინფორმაციაში.

**ბექა დანელია**

# საჯარო შეტყობინება აუქციონის დანიშვნის შესახებ

**წინამდებარე შეტყობინებით, შპს „ემჯი ჰოლდინგი“ როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციალისტი, ამ შეტყობინებაში მითითებულ კრედიტორს, სარეალიზაციო უძრავი ქონების მესაკუთრეს, მოვალეს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ატყობინებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{16}$ მუხლების საფუძველზე, კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გიორგი შაშურაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი შაშურაშვილი (პ/ნ 20001013122), თელავის რაიონი, სოფელი ვარდისუბანი, ნატკორის 1 შესახვევი N4

**2. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** თელავის რაიონი, სოფელ ვარდისუბანში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობით 4220კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 53.08.36.375)

**3. უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**4. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 28210.79 ლარი.

**5. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2026 წლის 31 ივლისი, 12:00 საათი.

**6. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2026 წლის 17 აგვისტო, 14:00 საათი.

**7. აუქციონის ჩატარების ფორმა და მონაცემები:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე **www.eauction.ge** (განაცხადის **N71271HZP130531026**; აუქციონის ნომერი: 71271; ლოტის ნომერი: 1305310)

**8. მოვალე:** გიორგი შაშურაშვილი (პ/ნ 20001013122), თელავის რ-ნი, სოფელი ვარდისუბანი, ნატკორის 1 შესახვევი N4.

**9. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

**10. აუქციონის პირობები:**

10.1 აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

10.2 მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

10.3 აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი ს/ს „ლიბერთი ბანკი“

10.4 აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (სს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი **GE17TB1188736020100003**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

10.5 აუქციონი გაუქმდება, თუ აუქციონის შესახებ განცხადების შემტანი კრედიტორი უკან გაიტანს მას.

10.6 აუქციონი შეწყდება, თუ აუქციონის ჩატარებამდე მოვალე ან მესამე პირი, რომელიც უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კრედიტორი, გადაიხდის მის დასაკმაყოფილებლად და ყველა სხვა ხარჯის დასაფარავად საჭირო თანხას.

10.7 ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები 2026 წლის 17 აგვისტოს 10:00 საათამდე წარმოადგინოს შპს „ემჯი ჰოლდინგში“, მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. 40, სართული 11.

# 160 ტონა სახიფათო ნარჩენები ევროპაში გადაიგზავნა...

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მუდმივ წარმომადგენელთან საქართველოში დაგლას უებსა და კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (REC Caucasus) დირექტორთან, სოფიო ახობაძესთან ერთად, საქართველოში დაგროვილი პოლიქლორირებული ბიფენილების შემცველი სახიფათო ნარჩენების ევროპაში უსაფრთხო ექსპორტისა და საბოლოო განადგურებისთვის მოსამზადებელ პროცესს დაესწრო.**

პროექტის „პოლიქლორირებული ბიფენილებისაგან თავისუფალი ელექტრომომარაგება საქართველოში“ ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების შედეგად, დაახლოებით 160 ტონა სახიფათო ნარჩენი უსაფრთხოდ შეიფუთა, დოკუმენტირდა და საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად მომზადდა ევროპაში ტრანსპორტირებისთვის, სადაც მისი საბოლოო განადგურება ეკოლოგიურად უსაფრთხო მეთოდებით განხორციელდება.

**„ეს პროექტი ნათლად აჩვენებს, თუ როგორ ასრულებს საქართველოს მთავრობა საერთაშორისო ვალდებულებებს. სტოკჰოლმის კონვენციის ფარგლებში განხორციელებული ინიციატივა არის იმის მაგალითი, თუ როგორ შეიძლება პოლიტიკური ნების, მეცნიერული მიდგომებისა და საერთაშორისო პარტნიორობის გაერთიანებით მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი შედეგების მიღწევა. საქართველო აქტიურად აგრძელებს მუშაობას სახიფათო ნარჩენების მართვის სისტემის გასაძლიერებლად. ამ მიზნით ვახორციელებთ სახიფათო ნარჩენების მართვის ახალ სტრატეგიას, რომელიც სახიფათო ნარჩენების განთავსების ახალი ობიექტის მშენებლობას ითვალისწინებს. ამ მიმართულებით მსოფლიო ბანკთან აქტიურად ვთანამშრომლობთ და უახლოეს პერიოდში განისაზღვრება ობიექტის ადგილმდებარეობა“**, – განაცხადა **სოლომონ პავლიაშვილმა.**



სიტყვიერი ნორმების დაც-ვის მიზნით შექმნილი ახალი ორგანიზაციის ფართო საზოგადოების წინაშე წარდგენა იყო და ნაცსამყაყეთის ცალკეული დანაყოფები კონვულსიაში ჩაცვივდნენ – მმართველი რეჟიმი გამოხატვის თავისუფლებას სიკვდილის ბრიგადებისა თუ გუშაგთა კორპუსის ქართული ნაირსახეობით ებრძვისო.







# მოუფრთხილდით ღრანჭებს!

ტრადიციისამებრ, პროტესტის გამომხატველთა ავანგარდში „ფორმულირებული კეზერვიზიის“ყოველივე ეროვნულის დამთრგუნველი ენაჭარტალა მდედრი **ნინო ჟიჟილაშვილი** ვიხილეთ, რომელიც ვაიკოლეგა **ვახო სანაიას** ორკვირიანი ტუსაღობის პერიოდში ტელეაუდიტორიის ზომბირებას მარტოდმარტო ეწევა და ამჯერად ტოკ-შოუ „ხანაიას“პირდაპირ ეთერში კომპანიონად ერთუჯრედიანი **ბექა ყორშია** ჰყავდა მიწვეული.

წყლის ნაყვის მათეულ მეთოდოლოგიას კარგად იცნობთ და ამიტომ ამჯერად თქვენ ნერვულ სისტემას მოვუფრთხილდები, თუმცა თავს უფლებას ვერ მივცემ სახელოვან სპორტსმენთა მიმართ გამოხატულ განსაკუთრებულ სიძულვილს წავუყრუო. დიახ, თავდაპირველად ჯვარს აცვეს მხოლოდშობილი საზოგადოებრივი სტრუქტურის ლიდერი, შერეული ორთაბრძოლების დიდოსტატი **გიორგი ქართველიშვილი**, მომავალ დამნაშავეებზე დამუქრება როგორ გაბედა – ნოდარ დუმბაძის მსგავსი ისტორიის გამეორების შემთხვევაში ყველაფრისთვის, მათ შორის ციხეში წასვლისთვისაც მზად ვართო, ხოლო შემდეგ არც კორცხელის ეპიზოდისა თუ საპარლამენტო გაწევ-გამოწევის ამსახველი კადრების დატრიალება დავიწყნიათ.

**ვეკითხებით ამ უგედურებს: რატომ ჰგონიათ, რომ უზრდელობის ასალაგმავად მხოლოდ სპორტსმენები იზრუნებენ?**

# ქართული ამბები

## ჭადრაკი

**პალეოხორა (საბერძნეთი).** მე-19 საერთაშორისო ტურნირი. მთავარი პრიზის მფლობელი ქალთა შორის – **ბელა ხოტენაშვილი**. შერეული ასპარეზობის საერთო ჩათვლაში მან 6,5 ქულით მე-6 ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ ქართველმა დიდოსტატმა 9 პარტიიდან 5 მოიგო, 3 ყაიმით დაასრულა და მხოლოდ პოლონელ გამარჯვებულთან შიმონ გუმულიაჟთან დამარცხდა.

## ვიზიტი



**სიდნეი (ავსტრალია).** საქართველოს სპორტის მინისტრმა **შალვა გოგოლაძემ** მწვანე კონტინენტზე გვირგვინებით შეამკო ლეგენდარული სამმხტომელის **ვიქტორ სანეევის** საფლავი, რომელიც 2022 წელს გარდაიცვალა. ამავე ვიზიტის ფარგლებში სტუმარმა მოინახულა ის სტადიონი, სადაც გაისად სარაგბო მსოფლიოს თასი გათამაშდება ბორჯღალოსანთა მონაწილეობით.

## შერეული ორთაბრძოლები

**24 წლის** ქართველმა მებრძოლმა **ელენე ლოლაძემ** UAE WARRIORS 72-ზე სადებიუტო ჩხუბი 3 წუთსა და 6 წამში ე. წ. გილიოტინას მახრჩობელა ილეთით ფრანგ ფავორიტს ოსეან სამსონს მოუგო. ეს დაუმარცხებელი ჩვენებურის კარიერაში ზედიზედ მე-4 გამარჯვებაა!

## კალათბურთი

**ჩინეთი.** სოლიდარობის თასის გათამაშების დასკვნითი შეხვედრა. საქართველოს ეროვნული ნაკრების კანდიდატთა გუნდი – მონტენეგრო 69:63. **მარკო ესპოზიტოს** და **ნიკოლოზ ცინცაძის** შეგირდთაგან ყველაზე შედეგიანები იყვნენ: ლევან გოგიჩაიშვილი (12 ქულა), ნიკოლოზ გაფრინდაშვილი (11 ქულა). შეგახსენებთ, რომ ჯვაროსანთა უახლოესმა რეზერვმა სტარტზე იმავე მეტოქეს სძლია, მაგრამ მეორე მატჩი მასპინძლებთან დათმო.

## ფარიკაობა

**ჰონგ კონგი.** მსოფლიოს ჩემპიონატი (ხმალი). **სანდრო ბაზაძემ** დაამტკიცა, რომ ტიტულის მოპოვებაზე უფრო რთული მისი დაცვაა. ქართველ მუშკეტერთა ლიდერმა მექსიკელ, გერმანელ და რუმინელ მეტოქეთა ძლევის შემდეგ მეოთხედფინალური ბრძოლა კორეელ გუენდენგ დოსთან 11:15 წააგო და მე-5 ადგილი დაიკავა.

# თურმე, უნდა ველოდოთ

**მეზოგელ გაქოში გასამართავი მსოფლიოს ჩემპიონატამდე 2 თვით ადრე პოსტიდან მოულოდნელად გადადგა საქართველოს ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრების 40 წლის თავკაცი ლაშა გუჯეჯიანი.**

**„ეს ნაბიჯი მარტივად გადასადგმელი არ ყოფილა, თუმცა ვიგრძენი, რომ იმ საქმისადმი, რომელსაც წლების განმავლობაში სრული პასუხისმგებლობით და ერთგულებით ვემსახურებოდი, საჭირო მოტივაცია აღარ მაქვს“** – წერს სოციალურ ქსელში ევროპის ძიუდოს კავშირის მიერ 2021 წელს სეზონის საუკეთესო მწვრთნელად დასახელებული სპეციალისტი.

სპორტული კარიერა მან ევროპული ვერცხლით და მუნდიალების 2 ბრინჯაოთი დაასრულა, ტოკიოსა და პარიზის ოლიმპიადებზე კი მისმა შეგირდებმა 2 ოქრო და 5 ვერცხლი მოიხვეჭეს. სავარაუდოდ, იგი უზბეკეთში **ჯარჯი ზვიადაურის** გაკვალულ ფულიან ბილიკს შეუყვება.

# შანსი უნდა მიეცეს!

**მას შემდეგ, რაც სანაკრებო კარიერა გურამ კაშიამ დაასრულა, აქტუალური გახდა ცენტრალური მცველის პოზიციაზე მისი ღირსეული შემცვლელის მოძიება და ვილი სანიოლის ნდობის დამსახურება.**



საბედნიეროდ, ფრანგ მწვრთნელს არჩევანის პრობლემა არა აქვს, კანდიდატურებს შორის კი, ვიმედოვნებთ, შანსი 21 წლის **სანდრო ნარიმანიძესაც** (სიმაღლე – 192 სმ) მიეცემა.

როცა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანსა და სლოვაკური ჟილინას ლეგიონერზე ვსაუბრობთ, უპირველესად, ხაზგასასმელად გვესახება მისი სალიდერო თვისებები, ბურთის ამოტანის უნარი, თავით კარგად თამაში, სისწრაფე და შეტევებში ჩართვის ნიჭი.

რაც შეეხება საკლუბო პერსპექტივას, სატრანსფერო პერიოდი აგვისტომდე გრძელდება. ასე რომ, გამორიცხული არაფერია.

# იუმორინა... სერბულად

**დიდი მუზარადის საჩოგბურთო ტურნირების 24-გზის გამარჯვებულმა, სერბმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა 2023 წლის უიმბლდონზე იტალიელ იანიკ სინერთან წარმატების შემდეგ მისთვის თამაშის გაუმჯობესების მიზნით მიცემულ რჩევებზე ისაუბრა და ხუმრობით აღნიშნა, რომ ამის შემდეგ ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე მასთან ზედიზედ სამჯერ დამარცხდა.**

**„...მას ყველაფერი ვუამბე, რაც თამაშის დროს შევამჩნიე: მისი როგორც სუსტი, ისე ძლიერი მხარეები და რაზე სჭირდებოდა მუშაობა. აქედან მოყოლებული, მან ლონდონში სამჯერ მომიგო. ასე რომ, შესაძლოა, შეცდომა დავუშვი, არ ვიცი!..“** – სიცილით განაცხადა „ნოლემ“.

შეგახსენებთ, რომ წლევანდელ უიმბლდონზე ჯოკოვიჩმა სინერთან ნახევარფინალი წააგო – 4:6, 4:6, 4:6.

39 წლის ბალკანელმა სინერთან და ესპანელ კარლოს ალკარასთან მეტოქეობაზეც ისაუბრა და ისინი ახალგაზრდობისდროინდელ საკუთარ თავს შეადარა.



**„...პატიოსნად რომ ვთქვა, როცა მათ თამაშს ვუყურებ, სრულიად განსხვავებული სტილი აქვთ – ისევე, როგორც ფედერერსა და ნადალს, ნამდვილად ძალიან განსხვავებული. მეც განსხვავებული ვიყავი და, საერთოდ, სამივენი ერთმანეთისგან გამოვირჩეოდით. ეს ორი ბიჭი ძალიან მახსენებს საკუთარ თავს. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს 10 ან 15 წლის წინანდელ საკუთარ თავს ვეთამაშები და, ღმერთმანი, კორტზე ამის განცდა ცოტათი მტკივნეულია“** – დასძენს „ჯოკო“.





**საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად 54 წლის ზინედინ ზიდანი დაინიშნა.**

შეგახსენებთ, რომ ალჟირული ფესვების ლეგენდამ სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში მადრიდის რეალს 11 ტიტული მოაგებინა, მათ შორის ზედიზედ 3-ჯერ ჩემპიონთა ლიგა და 5 წლის მანძილზე ისვენებდა. აი, ზიზუს პირველი კომენტარი:

# ზიდანი ზიდანია!

**„ნდობისთვის მადლობას ვუხდი ფედერაციის აღმასკომსა და თითოეულ თანამშრომელს. დღევანდელი დღე ჩემთვის ოცნების ასრულებაა. მართალია, კლუბებიდან მრავალი წინადადება მქონდა, მაგრამ უარს საფრანგეთის ეროვნული გუნდის გამო ვამბობდი. ესაა ერთადერთი საქმე, რისი კეთებაც მინდოდა. ბავშვობიდან მივიწევდი მიზნისკენ-თამაში ასაკობრივ გუნდში დავიწყე და ეროვნულ ნაკრებამდე ყველა ეტაპი გავიარე. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ამ გუნდმა გამარჯვებები გააგრძელოს. ეს ერთადერთი რამაა, რაც მოტივაციას მანიჭებს.**

**პირველ პრესკონფერენციას სექტემბერში გავმართავ და ჩემს სტილსაც მალე ნახავთ. მე თამაში შთამაგონებს. „ეთიანი“ვიყავი და ყველაზე მეტად გოლების გატანის შესაძლებლობა მამხნევებს. ესპანეთში 25 წელი ვიცხოვრე და კარგად იცით, ეს რასაც ნიშნავს. მოედანზე ლიდერი ვიყავი, ხოლო დღეს ლიდერი ჩემი გამოცდილების წყალობით ვხდები. დეშამი დეშამია, ბლანი-ბლანი, ზიდანი კი ზიდანია!“**

# ქურდული სამყარო საქმეებს უცხოეთიდან „არჩევს“

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ე.წ. ქურდულ სამყაროსთან კავშირში მყოფი 27 პირი დააკავეს, კიდევ ექვს პირს ბრალი წარედგინება, მათ შორის ერთი საზღვარგარეთ მყოფი ე.წ. კანონიერი ქურდია.**

სამართალდამცავების მიერ, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ინტენსიურად ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დგინდება, რომ ბრალდებულები მითითებებს საზღვარგარეთ მყოფი ე.წ. კანონიერი ქურდის **მამუკა ჩხაბერიძისგან** იღებდნენ და მისი დავალებების შესაბამისად მოქმედებდნენ. ისინი სისტემატურად უკავშირდებოდნენ ერთმანეთს და ორგანიზებას უწევდნენ ე.წ. ქურდულ გარჩევას, სადაც გადაწყვეტილებებს ქურდული ტრადიციების შესაბამისად იღებდნენ.

ასევე, დადგინდა, რომ ბრალდებულები მხარეებს შორის ფინანსურ დავებს განიხილავდნენ, რა დროსაც ერთ-ერთ მხარეს მეორის, ასევე, თავიანთ სასარგებლოდ თანხის გადახდას აკისრებდნენ. კონკრეტული ვადების დარღვევის შემთხვევაში კი ფიზიკური ანგარიშსწორებით და სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდნენ.

პოლიციამ, ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო



კომპიუტერული ტექნიკა და მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთს და საზღვარგარეთ მყოფ ე.წ. კანონიერ ქურდს უკავშირდებოდნენ. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პოლიციის მიერ, ასევე, ამოღებული იქნა სხვადასხვა სახის ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა. დანაშაული 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პირველი იანვრიდან დღემდე, სამართალდამცველების მიერ დაკავებული და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული იქნა ე.წ. ქურდულ სამყაროსთან კავშირში მყოფი 343 პირი, მათ შორის რვა ე.წ. კანონიერი ქურდია, □აღნიშნულია შსს-ს ინფორმაციაში.

# გახსნილია ტრანსნაციონალური დანაშაული

**საქართველოს პროკურატურამ ტრანსნაციონალური დანაშაულები გახსნა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფულის გათეთრების ბრალდებით, უცხო ქვეყნის ოთხი მოქალაქის და ხუთი იურიდიული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო.**

საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში ჩატარებული გამოძიებებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით დანაშაულები სხვადასხვა ქვეყანაში ჩაიდინეს და უკანონო შემოსავლის გასათეთრებლად, აქტივები საქართველოში გადმოიტანეს. ფულის გათეთრების მიზნით, რეალური სამეწარმეო საქმიანობის განზრახვის გარეშე, ბრალდებულებმა საქართველოში დააფუძნეს საწარმოები და ყალბი დოკუმენტაციის გამოყენებით და ფიქტიური დანიშნულებების მითითებით, პირადი და იურიდიული პირების საბანკო ანგარიშებზე, უცხოეთიდან დანაწევრებით გადმორიცხეს უკანონო და დაუსაბუთებელი წარმომავლობის 21.5 მილიონი ლარის ეკვივალენტი სხვადასხვა ვალუტა.

ასევე, ფულის გათეთრების მიზნით, მათ ქართულ საბანკო ანგარიშებზე აკუმულირებული თანხების მცირე ნაწილი, ფიქტიური დანიშნულებებით და ყალბი დოკუმენტაციის გამოყენებით გადარიცხეს საზღვარგარეთ, სხვადასხვა საბანკო ანგარიშებზე, ხოლო უკანონო აქტივების ძირითადი ნაწილი, მიმდინარე გამოძიების ფარგლებში იქნა დაყადაღებული.

ბრალდებულების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე დაიწყო, რაც სასჯელის სახედ და ზომად ფიზიკურ პირებთან მიმართებით 9-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ხოლო იურიდიულ პირებთან მიმართებით – ლიკვიდაციას ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას და ჯარიმას ითვალისწინებს.

გამოძიების ფარგლებში დაყადაღებული, დაახლოებით 14 მილიონი ლარის ეკვივალენტი უცხოური ვალუტის და 1 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების უძრავი ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოსართმევად, პროკურატურა შესაბამის სამართლებრივ პროცედურებს გაატარებს.

# კვების ობიექტი „ჯარგვალი“ დროებით დაიხურა



**სამეგრელო-ზემო სვანეთის დეპარტამენტის ინსპექტორებმა სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში არაგეგმურად შეამოწმეს კვების ობიექტი შპს „ჯარგვალი 2026□(მის: ფოთი, გურიის ქუჩა N220). ინსპექტირებისას ობიექტზე გამოვლინდა კრიტიკული შეუსაბამობები არასათანადო რეცხვა-დეზინფექცია, ჰიგიენური ნორმების დარღვევა, ინფრასტრუქტურის გაუმართაობა.**

გარდა ამისა, დარღვეული იყო მიკვლევადობისა და ეტიკეტირების მოთხოვნები. ასევე, ბიზნესოპერატორი არ იყო რეგისტრირებული ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში. სეს-ს ინფორმაციით, გამოვლენილი დარღვევის გამო, ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა და შეუსაბამობების გამოსწორებამდე საწარმოო პროცესი შეუჩერდა.

# ყალბი ვალუტის გამსაღებლები გამოიჭირეს!

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურასთან კოორდინაციით ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ჯგუფურად დიდი ოდენობით ყალბი ვალუტის გასაღების ფაქტზე ორი პირი დააკავეს.**



საგამოძიებო სამსახურის ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით აჭარის რეგიონში გაასაღეს 20 500 აშშ დოლარის ოდენობის ყალბი 100 და 50-დოლარიანი კუპიურები. გამოძიება 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# ბავშვთა ფსიქოლოგი თუ სექსუალური მანიაკი?!



**ვლადიკავკაზში ბავშვთა ფსიქოლოგ ანტონ შიშენკოს, რომელიც პროფესიულ წრეებში □დოქტორი ტვინის□სახელით იყო ცნობილი, არასრულწლოვნების მიმართ სექსუალური ძალადობისთვის 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.**

სასამართლომ მას ასევე არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ განათლებისა და აღზრდის სფეროში საქმიანობა 15 წლით აუკრძალა. გამოძიების ფარგლებში შიშენკომ დაკითხვისას განაცხადა, რომ შესაძლოა, მისი ქმედებების მსხვერპლი 50-ზე მეტი ბავშვი ყოფილიყო. თუმცა, სასამართლოს მიერ განხილულ და დადასტურებულ საქმეში ორი არასრულწლოვანი ბიჭის მიმართ ჩადენილი ძალადობის ეპიზოდები ფიგურირებდა. მედიის თანახმად, საქმე ფართო საზოგადოებრივი ინტერესის საგნად იქცა, რადგან ბრალდებული ბავშვებთან პროფესიული საქმიანობის ფარგლებში მუშაობდა.

სულთათანა

# ღირსეული და გამორჩეული ზუგდიდელი



**მეოცე საუკუნის ზუგდიდის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება ძნელი წარმოსადგენია სოსელიების გარეშე. ადგილობრივი და საკავშირო მნიშვნელობის საწარმოების საფუძვლის ჩაყრა და განვითარება ამ ოჯახის რამდენიმე თაობის წარმომადგენლებთან არის დაკავშირებული. მათ შორის ერთ-ერთი იყო სოსო იოსების ძე სოსელია.**

**სოსო სოსელია დაიბადა 1939 წლის 23 აპრილს ზუგდიდში. 1957 წელს დაამთავრა ზუგდიდის მე-3 საშუალო სკოლა ვერცხლის მედალზე. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრებისთანავე მას ჯერ ირჩევენ □ინგურქაღალდკომბინატის□კომკავშირის კომიტეტის მდივნად, შემდეგ კი პროფკავშირის კომიტეტის თავჯდომარედ. ნოვატორობითა და ორგანიზატორული ნიჭით გამორჩეული ახალგაზრდა მუშაკი სკპ ცკ-ის რეკომენდაციით გააგზავნეს ბაქოს უმაღლეს პარტიულ სკოლაში, რომლის დასრულებისთანავე მუშაობას იწყებს პარტიის ზუგდიდის რაიკომში.**

**ამ წლებში საქართველოს კომპარტია გამოირჩეოდა ფსევდოიდეოლოგიური სიმკაცრითა და მასში მიმდინარე უარყოფითი მოვლენებით, ამიტომაც ბატონმა სოსომ უარი თქვა პარტიულ დაწინაურებაზე და თავისი ძალისხმევა სახელმწიფო სტრუქტურების განვითარებაში გასწია: 1973-1977 წწ. იყო ზუგდიდის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე, 1980-1985 წწ. – □ზუგდიდვაჭრობის□დირექტორი, 1987-1989 წწ. – ზუგდიდის ნავთობბაზის დირექტორი, 1989-1994 წწ. – ზუგდიდის დაფნის კომბინატის დირექტორი. სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა ზუგდიდის მეორე ჩაის ფაბრიკასა და ზედაეწერის აგროსამრეწველო კომბინატს. ხელმძღვანელ პოზიციებზე მუშაობის პარალელურად აქტიურად აგრძელებდა მამის, სამეგრელოში ჩაის კულტურის დანერგვის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორის იოსებ სოსელიას საქმიანობას. ზემოხსენებულთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობდა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-მუშაკად. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 1982 წელს მიენიჭა სამართალმცოდნის ხარისხი.**

**სანიმუშო სახელმწიფო მოღვაწეობასთან ერთად ბატონი სოსო ცნობილი იყო როგორც კარგი მეოჯახე, მეგობრებისადმი ერთგულებითა და თავდადებით, ისე თითოეული თანამემამულის გვერდში დგომის განსაკუთრებული თვისებით. კეთილი საქმის კეთების ნიჭთან ერთად დაჯილდოებული იყო შესანიშნავი იუმორის გრძნობით, რაც თავისუფლებას აძლევდა გარშემომყოფთ ერთი შეხედვით ფიზიკური ახოვანებითა და სიმტკიცით გამორჩეულ ადამიანთან უშუალო და თბილი ურთიერთობის დასამყარებლად.**

**ბატონმა სოსომ პატიოსნად განვლო ცხოვრების გზა, სხვათა ტკივილის გაზიარებითა და საკუთარის ღირსეულად გამკლავებით. სწორედ ამიტომ მოისხენიებენ მის სახელს მუდამ მოწიწებითა და მადლიერებით.**

**და ბოლოს, ისე, როგორც თქვენი ზუგდიდელები მოგმართავდით: გემშვიდობებით, დიდო სოსო! ნათელში იყავ, აწდა მარადის!**

ოჯახი და ზუგდიდელები

# ყალბი ამფითეატრით გამდიდრებულ იტალიელს პატიმრობა ემუქრება

**იტალიელმა მამაკაცმა ყალბი ამფითეატრი ააშენა და 20 წლის განმავლობაში ექსკურსიებს ატარებდა. ახლა მას პატიმრობა ემუქრება.**

ის 2 ათწლეული ატყუებდა ტურისტებს, რომ 2005 წელს, მეწყრის შემდეგ, ვიჩენცის პროვინციაში ე.წ. ბერიკოს ზღვის ამფითეატრი აღმოაჩინა. სარეკლამო ბუკლეტებში კი ეწერა, რომ ამფითეატრი ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში იყო აგებული. ისტორიული ძეგლის დათვალიერებას ტურისტებს 40 ევროდ სთავაზობდნენ.



**ექსკურსიები იმდენად პოპულარული გახდა, რომ □ბერიკოს ზღვის ამფითეატრი□ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ ოფიციალურ ტურისტულ გზამკვლევსა და მობილურ აპლიკაციაშიც კი მოხვდა.**

# სულით ძლიერნი

## „საქართველო, მიყვარხარ!“

**უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ნეტარხსენებული ილია II-ის ამონარიდები ქადაგებებიდან.**



● როცა ადამიანი კეთილ საქმეს აკეთებს, მასზე გარდმოედინება მადლი სულისა წმიდისა, რაც მთელ მის სახლს, მის ახლობლებს, შვილებსა და შვილიშვილებს ეფინება.

● როდესაც აღსარებაზე მიდიხართ, თქვენი ცოდვები აღიარეთ და არა სხვისი.

● არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს შვიდგზის ლოცვები – გაერთიანებული, გამთლიანებული – ჩემი პატრიარქობის პერიოდში აღდგა ეს ლოცვები. ლოცვის შემდეგ დღეში შვიდჯერ თქვით – „უფალო, დიდება, გადაარჩინე და გაამთლიანე საქართველო!“

● მე მხატვარი არ ვარ, მაგრამ ხატვის დროს ვისვენებ, ძალიან მძიმეა ჯვარი კათოლიკოს-პატრიარქისა, მასაც სჭირდება დასვენება და ხატვა ამაში ძალიან მეხმარება.

● როდესაც სიკეთეს გვიკეთებენ, მადლიერების გრძნობით უნდა გვახსოვდეს იგი, ხოლო თუ ცუდად მოგვექცევიან, სიყვარულმა უნდა დაგვავიწყოს იგი.

● ყოველი დღე ილოცე ყველასათვის, მოიპოვე სულის სიმშვიდე (მშვიდობა), რათა არავინ შეურაცხყო და არც შენ თვითონ გეწყინოს ვინმესიც რამე (შეურაცხყოფა). მაშინ კი ღმერთი მოგცემს სინანულის ცრემლს.

● ცხოვრებისეული ჯვარი იმიტომ მოგვეცა, რომ იგი რწმენითა და სიყვარულით ღირსეულად ვატაროთ და ჩვენი ჯვარცმა, – განსაცდელები და პრობლემები, – ჩვენს აღდგომად და ამაღლებად გადავაქციოთ.

● მსოფლიოში არ არსებობს ისეთი ქვეყანა, ისეთი ეკლესია, რომელსაც ერთდროულად ამდენი წამებული მოწამე ჰყავდეს!.. ეს ღმერთმა საქართველოზე დაუშვა!

● დღეს ძალიან რთული დროა – გლობალიზაციის პერიოდი – კულტურათა დაახლოებისას, ჩვენ არავითარ შემთხვევაში, არ უნდა დავკარგოთ ჩვენი ეროვნული (ქართული) საუნჯე, ეროვნული ფასეულობანი, ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილი... ჩვენი რწმენა, სიყვარული, თანაგრძნობის ნიჭი!!!

*ჩვენი დიდი პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ანდერძის – ღმერთი, სამშობლო, ადამიანი“ ერთგულება მინდა შევძლო ღმერთო მე (გ. ლ.) ცოდვილმა.*

## წმინდა ილია მართალი – ჭავჭავაძე



**2 აგვისტოს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ჭავჭავაძეების გვარის საუკეთესო წარმომადგენელს, საქართველოს „უგვირგვინო მეფედ“, „ერის მამად“, „ილია მართლად“ წოდებულ ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძეს, რომელიც 1837 წლის 9 ნოემბერს სოფელ ყვარელში დაიბადა.**

...ჯერ კიდევ თავისი მოღვაწეობის დასაწყისში წმიდა ილია მართალმა განაცხადა: **„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონებთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლებს“.**

აღსანიშნავია, რომ თვით ილიას ქვრივმა თბილისის გუბერნატორს ქმრის მკვლელების შეწყნარების თხოვნით მიმართა – „შეუნდე არ იციან, ღმერთო, რას იქმან!“

## ილია თეზბიტელი



**...ილია თეზბიტელი აიტაცა უფალმა და დღესაც ხორციელად ცოცხალია. იგი იხილეს თაბორის მთაზე მოციქულებმა წმიდა მოსესთან ერთად – უფლის ფერისცვალებისას! მას იხილავენ მორწმუნენი ბოლო ჟამს, როცა იგი წმიდა ენუქთან ერთად მოევლინება ცოდვილ ქვეყანას.**

...ამხელენ გამეფებულ ანტიქრისტეს, მისი ხელით შესვამენ სიკვდილის ფიალას. მესამე დღეს აღადგენს მათ უფალი მკვდრეთით და ცოტა ხანში თავად მოვა დიდებით და განიკითხავს ყოველ დაბადებულს.

წმინდა ილიას (ელიას) ხალენი დაკრძალულია მცხეთას, სვეტიცხოვლის საკურთხეველში.

უფლის კვართი ჩვენი ეკლესიის ერთიანობას იცავს, ხოლო ელიას ხალენის ფლობა გვავალებს რწმენის დამარხვას, ქადაგებას, უსჯულოების მხილებას.

**გიული ლიპარტია**



## თბილისელთა „გედების ტბა“ „ლონდონის კოლიზეუმში

**დიდ ბრიტანეთში თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასმა „ლონდონის კოლიზეუმში“ (London Coliseum) პეტრე ჩაიკოვსკის ბალეტი „გედების ტბა“ 12-ჯერ წარმოადგინა.**

საგასტროლო პროგრამის ფარგლებში, „ლონდონის კოლიზეუმში“ გაიხსნა ფოტოგამოფენა – „ბალეტ „გედების ტბის“ დადგმის ისტორია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში“. **გამოფენაზე წარმოდგენილი იყო თბილისის ოპერის თეატრში პეტრე ჩაიკოვსკის ბალეტის სხვადასხვა პერიოდის დადგმების ამსახველი ისტორიული ფოტომასალა, ასევე ნინო ანანიაშვილის საეტაპო სპექტაკლების ფოტოები მსოფლიოს სხვადასხვა თეატრიდან.**

## გონიოს ციხემ გრანდიოზულ ქართულ გალაკონცერტს უმასპინძლა

**„გონიოს ჰანგები“ - გონიოს ციხემ გრანდიოზულ ქართულ გალაკონცერტს უმასპინძლა. ისტორიული ციხის კედლებში საფუძველი ჩაეყარა ახალ საერთაშორისო ფესტივალს, რომლის მიზანია გონიოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია და ისტორიის გაცოცხლება.**

კონცერტში ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის სიმფონიური ორკესტრი, კაპელა, ვოკალური ანსამბლი „ბათუმი“ და ქართველი შემსრულებლები მონაწილეობდნენ.



## ხელოვნების სასახლის უკვდავთა ბაღში ანზორ ერქომაიშვილის ბიუსტი გაიხსნა

**ხელოვნების სასახლის უკვდავთა ბაღს კიდევ ერთი სახელი შეემატა. სასახლის ბაღში მუსიკოსის, საგუნდო დირიჟორისა და ხალხური სიმღერის ქომაგის ანზორ ერქომაიშვილის ბიუსტი გაიხსნა. ის მოქანდაკე გია ჯაფარიძემ შექმნა.**



„ხელოვნების სასახლის უკვდავთა ბაღი მასპინძლობს კიდევ ერთ გამორჩეულ ადამიანს. ანზორ ერქომაიშვილი, გარდა იმისა, რომ ის არის დიდი სახელი ქართულ ხელოვნებაში, მისადმი ხელოვნების სასახლეს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს. ეს იყო თითზე ჩამოსათვლელი ადამიანებიდან ერთ-ერთი, რომელიც გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მოვიდა და თავისი ხელით მოიტანა არქივი, რომელიც მის საყვარელ ქართველ ხალხს უსახსოვრა“ – განაცხადა ხელოვნების სასახლის დირექტორმა **გიორგი კალანდიამ.**

## იტალიაში მოღვაწე გაგა შურღაიას დედაუნივერსიტეტში უსმენენ!

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიბლიოთეკისა და ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თაოსნობით, ნეაპოლის უნივერსიტეტის აზიის, აფრიკისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის კათედრის დოცენტ გაგა შურღაიასთან შეხვედრა გაიმართა.**

მისი მეცნიერული საქმიანობა მოიცავს ქართული ლიტერატურისა და კულტურის ისტორიის ვრცელ კვლევას, ასახულს ასზე მეტ პუბლიკაციასა და ოთხ მონოგრაფიაში. 2019 წელს იტალიის კულტურის ძეგლთა, კულტურულ ღონისძიებათა და ტურიზმის სამინისტრომ გაგა შურღაიას წლის ეროვნული პრემია მიანიჭა მხატვრულ თარგმანში.



საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოწერილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„ტორში“**
ზიგზაგის ქუჩა N6

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 3 აგვისტოს**